

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა
ფაკულტეტის
განვითარების სტრატეგიული გეგმა

გრძელვადიანი სტრატეგია

2018-2024 წლებისთვის

ქ. ქუთაისი

2017

შესავალი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი ერთ-ერთი უძველესია უნივერსიტეტში. იგი არსებობს 1933 წლიდან, პედაგოგიური ინსტიტუტის დაარსების დღიდან. ფაკულტეტზე წარმართული სასწავლო და სამეცნიერო მუშაობის მიზანია, სტუდენტებს მისცეს უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის შესაბამისი ცოდნა მათემატიკაში, კომპიუტერულ ტექნოლოგიებსა და საბუნებისმეტყველო დარგებში; მოამზადოს სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ მეცნიერული მსოფლმხედველობა, მაღალი კულტურა და საერთაშორისო მოთხოვნათა შესაბამისი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტს ემსახურება 12 პროფესორი, 71 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტ-პროფესორი.

ფაკულტეტი დღემდე ინარჩუნებს წამყვან პოზიციას რეგიონის მასშტაბით, აქვს პოტენციალი გახდეს საერთაშორისო სტანდარტების მქონე საგანმანათლებლო-სამეცნიერო კერა, სადაც აკადემიურ პერსონალსა და კურდამთავრებულს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მიმართულებით საკუთარი ცოდნისა და უნარების სწრაფი რეალიზების შესაძლებლობა ეძლევა.

უქმნის სტუდენტს სწავლა/სწავლების თანამედროვე სტანდარტების შესაბამის პირობებს და ემსახურება კონკურენტუნარიანი და პროფესიონალი კადრების აღზრდას, რაც მიიღწევა კვალიფიცირებული აკადემიური პერსონალის, აღიარებული პრაქტიკოსი სპეციალისტების, პარტნიორი ორგანიზაციების, კომპიუტერული კლასების, თემატური ლაბორატორიების, ქვეყნის, რეგიონისა და საერთაშორისო კავშირების მეშვეობით.

ახორციელებს უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამებს მათემატიკის, ფიზიკის, გეოგრაფიისა და ბიოლოგიის მიმართულებით, ხოლო კომპიუტერული მეცნიერებების, ქიმიის, ეკოლოგიისა და ბიოტექნოლოგიების მიმართულებებში, მოცემულ ეტაპზე ახორციელებს საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს.

გააჩნია სამეცნიერო კვლევების განხორციელების მრავალფეროვანი პროფილი ფაკულტეტის თითოეული საგანმანათლებლო მიმართულების შესაბამისად.

2018-2024 წწ. ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა მოიცავს კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტის მექანიზმებს, თუ როგორ უნდა მიაღწიოს ფაკულტეტმა დასახულ მიზნებს არსებული მატერიალურ-ტექნიკური, ადამიანური და ფინანსური რესურსების ეფექტურად გამოყენების გზით და/ან საჭირო დამატებითი რესურსების მოძიებით.

სტრატეგიული გეგმა აგებულია - ადამიანური და მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენების, საგანმანათლებლო და კვლევითი პროფილის და გარემო ფაქტორების SWOT ანალიზის საფუძველზე. გეგმაში დასახულია როგორც ადამიანური და მატერიალური რესურსების ადმინისტრირების, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა-განხორციელების, ისე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხარისხის განვითარების გზები.

ფაკულტეტის მისია

განავითაროს ფაკულტეტის პროფილის შესატყვისი სწავლა/სწავლება და კვლევითი საქმიანობა; უზრუნველყოს ცოდნის შექმნა და გავრცელება; ქვეყნის სტაბილური განვითარების მხარდაჭერისთვის, პროფესიონალების ჩამოყალიბება; არსებული პოზიციის განვითარება საერთაშორისო და ეროვნული პარტნიორობის გაღრმავების გზით;

ფაკულტეტის ხედვა

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი არის ცნობადი მრავალპროფილიანი სტრუქტურული ერთეული, რომელიც სწავლების ინოვაციური მეთოდების გამოყენებით და თანამედროვე კვლევებზე დაყრდნობით, ემსახურება ქვეყნის და რეგიონის სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას და ახალი თაობის აღზრდას მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებით.

ფაკულტეტის საქმიანობის ძირითადი ღირებულებები

- აკადემიურობა;
- გუნდური მუშაობა;
- სოციალური პასუხისმგებლობა;
- თანასწორობა;
- ინოვაციურობა.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროფილი

განათლების რეფორმის შედეგად საქართველოში უნდა ჩამოყალიბდეს თანამედროვე მსოფლიო სტანდარტების შესატყვისი საგანმანათლებლო ცენტრები, სადაც ინტეგრირებული იქნება მოწინავე საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც წარმატებით გადაწყვეტენ ზოგადეროვნული ინოვაციური პროექტების ფარგლებში საკადრო და კვლევით ამოცანებს. ამ პირობებში ხარისხიანი განათლების მიღება კვლავ რჩება საზოგადოების უმნიშვნელოვანეს ცხოვრებისეულ ღირებულებად, კეთილდღეობის, სოციალური სამართლიანობის, პოლიტიკური სტაბილურობისა და ქვეყნის უსაფრთხოების გადამწყვეტ ფაქტორად.

აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის განვითარების სტრატეგია მოითხოვს შემდეგი ძირითადი ამოცანების გადაჭრას:

- ხარისხიანი განათლების მიცემით საზოგადოებისა და შრომითი ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში სამეცნიერო კვლევების განვითარება, კვლევის შედეგად მიღებული ცოდნის გავრცელება და დანერგვა სასწავლო პროგრამებში;
- საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის სრულყოფა;
- სასაწავლო პროცესის მართვის ეფექტურობის ამაღლება.

ფაკულტეტზე არსებული მდგომარეობა, სამომავლო პერსპექტივები და გაუმჯობესების გზები.

1. მოკლე სიტუაციური აღწერა

ფაკულტეტი ახორციელებს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებების უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს შემდეგ დარგებში:

საბაკალავრო და მაინორ-პროგრამები: მათემატიკა; კომპიუტერული მეცნიერებები; ქიმია; ფიზიკა; გეოგრაფია; ბიოლოგია; ეკოლოგია; გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია).

სამაგისტრო პროგრამები: მათემატიკა; კომპიუტერული მეცნიერებები; ინფორმაციული სისტემები; ელექტრონული ბიზნესი; ქიმია; თეორიული ფიზიკა; რეგიონალური გეოგრაფია და რეკრეაციული რესურსები; ბიოლოგია; გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია).

სადოქტორო პროგრამები: ფიზიკა; ფუნქციონალური თეორია; დიფერენციალური განტოლებები; გეოგრაფია; ნეირომეცნიერებები.

პროფესიული პროგრამა: სისტემების ადმინისტრატორი.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი 2005 წლიდან ავითარებს აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებს (ბოლო აკრედიტაცია განხორციელდა 2011-2012 წლებში) ექვს დარგობრივ დეპარტამენტში:

- ✓ მათემატიკა
- ✓ ფიზიკა
- ✓ ინფორმაციული ტექნოლოგია
- ✓ გეოგრაფია
- ✓ ქიმია
- ✓ ბიოლოგია

2. სიტუაციური ანალიზი (SWOT)

შიდა გარემო
ძლიერი მხარეები – Strengths
<ul style="list-style-type: none"> ▪ ფაკულტეტზე მოქმედებს აკრედიტებული აკადემიური პროგრამები რომლებიც სტუდენტებს სთავაზობს დასაქმებაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსებს, საუნივერსიტეტო დონის უმაღლეს პროფესიულ ცოდნას და უნარებს სხვადასხვა სასწავლო დისციპლინებში. ▪ ფაკულტეტი უზრუნველყოფს აწსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული სტანდარტების შესაბამისი კურსების ჩატარებას და ანიჭებს სტუდენტს საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნორმების შესაბამის ბაკალავრის, მაგისტრისა და დოქტორის ხარისხს; ▪ პროგრამები აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო-ლაბორატორიებით და კომპიუტერული კლასებით; ▪ პროგრამებს უძღვება მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი; ▪ აწსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ორგანიზებით აკადემიური პერსონალისათვის პერმანენტულად იმართება სხვადასხვა სახის ტრენინგები და შეხვედრები. ▪ წარმოებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმების აქტიური განვითარება; სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა (სტუდენტთა მოსწრების ანალიზის, სტუდენტთა გამოკითხვების, ინტერვიუების, კურსდამთავრებულთა მოსაზრებების გათვალისწინება სასწავლო პროცესის დაგეგმვაში); ▪ ფაკულტეტს გააჩნია მოდულური პროფესიული პროგრამის შესაბამისი მატერიალური ბაზა; ▪ საგანმანათლებლო პროგრამები სწავლების შინაარსითა და მეთოდოლოგიით ორიენტირებულია დასაქმების ბაზრის მოთხოვნაზე როგორც რეგინალურ, ასევე რესპუბლიკურ დონეზე; ▪ საწარმოო უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების შეძენის მიზნით, ზოგიერთ საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამაზე ხორციელდება საველე და პროფესიული პრაქტიკა – სტუდენტთა დროებითი დასაქმება, სათანადო პროფილის საწარმოებსა და სამსახურებში, ან კლინიკებსა და სადიაგნოსტიკო ცენტრებში, რაც უფრო აახლოვებს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას წარმოებასთან და ამასთანავე, ხელს უწყობს გამოყენებით დარგებში სასწავლო პროგრამების დახვეწას ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში; ▪ საქმიანი ურთიერთობების წარმოება სასწავლო პროგრამის შესაბამისი პროფილის უწყებებთან; ▪ პროგრამები უზრუნველყოფილია წიგნადი (მათ შორის, ელექტრონული წიგნები) ფონდით; <p>ქართულ ენაზე ნათარგმნი სალექციო კურსების ელექტრონული ვერსიებით.</p>

- პროგრამებს გააჩნია განვითარების სტრატეგია, რომლის განხორციელების მონიტორინგი წარმოებს პერიოდულად, (სტუდენტების, ინდუსტრიის წარმომადგენლებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, ღია კარის დღეები);
- სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები ჩართულნი არიან პროგრამის დახვეწის პროცესში – მათთან მუდმივი კონსულტაციების გზით.

სუსტი მხარეები – Weaknesses

- სტუდენტების საერთაშორისო მობილობის არც თუ ისე სახარბიელო მაჩვენებელი;
- ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების არარსებობა;
- ნაწილობრივ მოძველებული ინფრასტრუქტურა;
- სასწავლო პროგრამების სახელმწიფოს მიერ დაფინანსების გადანაწილების არსებული წესი, რაც ქმნის არაკონკურენტუნარიან გარემოს საბაკალავრო პროგრამებს შორის – აბიტურიენტების მიერ ძირითადად უფასო სპეციალობებზე გაკეთებული არჩევანის გამო, ანუ არაფინანსირებადი სპეციალობებით სტუდენტთა დაბალი ინტერესი და შესაბამის საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხულ სტუდენტთა სიმცირე;
- არაფინანსირებად სპეციალობებზე ჩარიცხულ სტუდენტთა დაბალი საკონკურსო ქულები.
- გასაფართოებელია ლაბორატორიები, გაძლიერებას საჭიროებს ლაბორატორიული აღჭურვილობა, შესაძენია რეაქტივები; პროგრამების განხორციელებისათვის შეზღუდულია დამხმარე პერსონალის (ლაბორანტების) რესურსები.
- შესუსტებულია აკადემიური კავშირები უცხოეთის უნივერსიტეტებთან
- აკადემიური პერსონალი და სტუდენტები საჭიროებს სერიოზულ გადამზადებას უცხო ენებში.

გარე ფაქტორები

შესაძლებლობები – Opportunities

- პროგრამის განვითარებას ხელს უწყობს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებისათვის მზადება.
- საბაკალავრო პროგრამების ფართო პროპაგანდა სკოლის მოსწავლეებს შორის – უნივერსიტეტში სასწავლებლად მოსაზიდად;
- პროგრამების განვითარებას ხელს შეუწყობს ინდუსტრიასთან – პოტენციურ დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა, მომავალი სპეციალისტებისთვის დასაქმების ბაზრის ძიება, პროგრამის სრულყოფაზე მუდმივი მუშაობა, ლაბორატორიის აღჭურვილობაზე ზრუნვა, პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მათ შორის საერთაშორისო სერტიფიცირებაზე (სწავლების მეთოდებისა და ტექნოლოგიების დახვეწის მიზნით) ზრუნვა.
- ფაკულტეტზე მოქმედ ზოგიერთ პროგრამაზე პრაქტიკის გავლა საშუალებას მისცემს სტუდენტს განვითარდეს თანამედროვე სამეცნიერო მიმართულებების ფარგლებში; დაინახოს და შეაფასოს მომავალი ტექნოლოგიების და სამეცნიერო კვლევების მიმართულებების პრიორიტეტები; სახელმწიფო ორგანიზაციებში, კერძო საწარმოებში და სხვა ტიპის დაწესებულებებში მუშაობა სტუდენტებს განუვითარებს ორგანიზატორული, მეცნიერული და შემოქმედებითი მუშაობის უნარებს. დაეხმარება მას პრაქტიკული და კოგნიტური უნარ-ჩვევების განვითარების პროცესის რაციონალურად დაგეგმვაში. თავის მხრივ, მომავალ დამსაქმებლებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მათი პოტენციური კადრის აღზრდის პროცესში.
- შრომის ბაზრის მუდმივი ანალიზი.

საფრთხეები, რისკები – Threats

- ეკონომიკური კრიზისი, ინფლაცია, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა; შრომის კოდექსის და სხვა რელევანტური კანონმდებლობის გავლენა;
- დასაფიქრებელია, რამდენად საკმარისი იქნება სტუდენტთა კონტიგენტი იმისათვის, რომ პროგრამებმა შეძლოს თვითდაფინანსება;
- დასაფიქრებელია, როგორი იქნება ზუსტ და საბუნებისმეტყველო დისციპლინებში სტუდენტთა საბაზისო ცოდნის მაჩვენებლები.

3. არსებული და პოტენციური პარტნიორები

ფაკულტეტი აქტიურად თანამშრომლობს საქართველოსა და საზღვარგარეთის სასწავლო-სამეცნიერო, სამეწარმეო და ადმინისტრაციულ ორგანიზაციებთან სასწავლო პროცესების, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკების ორგანიზებისა და დასაქმების უზრუნველყოფის პერსპექტივებით. ეს ორგანიზაციებია:

- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკური ანალიზის კათედრა
- ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტის დიფერენციალური განტოლებების განყოფილება
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიფერენციალური განტოლებების კათედრა
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ქიმიის დეპარტამენტი;
- ქუთათელაძის სახელობის ფარმაცოლოგიის ინსტიტუტი;
- საქართველოს შსს საექსპერტო-კრიმინალისტიკური დეპარტამენტის იმერეთის საექსპერტო-კრიმინალისტიკური სამსახური;
- აგლაძის სახელობის ელექტროქიმიის ინსტიტუტი
- მელიქიშვილის სახელობის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი
- ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი
- ალ. ჯავახიშვილის სახელობის გეოგრაფიული საზოგადოება
- გარემოს ეროვნული სააგენტო
- გარემოს ეროვნული სააგენტოს კოლხეთის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორია
- თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტი
- ეროვნული სატყეო სააგენტო
- სოხუმის უნივერსიტეტი
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;
- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი
- იმერეთის მღვიმეთა დაცული ტერიტორიები
- საჯარო და კერძო სკოლები
- პერმის სახელმწიფო ეროვნული კვლევითი უნივერსიტეტი
- სსიპ ი.ბერიტაშვილის ექსპერიმენტული ბიომედიცინის ცენტრი;
- საქართველოს ნეირომეცნიერთა ასოციაცია (GNA);
- ევროპის ნეირომეცნიერთა საზოგადოებების ფედერაცია (FENS);
- ტვინის კვლევის საერთაშორისო ორგანიზაცია (IBRO);
- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;

- სურსათის ეროვნული სააგენტო;
- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი;
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო;
- საქართველოს ეკოლოგიური მეცნიერების აკადემია;
- სოფლის მეურნეობის ბიოტექნოლოგიის ცენტრი;
- მცენარეთა დაცვის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი;
- რადიაციული ბიოლოგიისა და ეკოლოგიის ცენტრი;
- სამედიცინო პარაზიტოლოგიის და ტროპიკული მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი;
- სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი;
- ელკანა ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია;
- სატყეო დეპარტამენტი;
- ლ.საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი;
- სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო იმერეთის რეგიონალური სამმართველო;
- სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასავლეთ საქართველოს რეგიონული დეპარტამენტი;
- ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი;
- სათაფლიის დაცული ტერიტორია;
- კაიზერსლაუტერის ტექნიკური უნივერსიტეტი
- ოტავას უნივერსიტეტი University of Ottawa (კანადა)
- ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაცია.
- საქპატენტი.
- ქალ-გამომგონებელთა საერთაშორისო ორგანიზაცია.

4. არსებული საგანმანათლებლო პროგრამები

განმახორციელებელი დეპარტამენტების მიხედვით არსებული საგანმანათლებლო პროგრამების სიტუაციური აღწერა, შეფასება და განვითარების პერსპექტივები

მათემატიკის დეპარტამენტი

მათემატიკა	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მათემატიკის ბაკალავრი 0501
მიმართულება/დარგი	05 მეცნიერება/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, მათემატიკა
აკრედიტაციის თარიღი:	აკრედიტ. გადაწყვეტილება: №66; 23.09.2011
პროგრამის ხელ-ლი:	პროფ. გიორგი ონიანი
<p>შეფასება და განვითარების პერსპექტივები:</p> <p>ძლიერი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია და გამოცდილება ▪ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი ▪ პროგრამის მდიდარი ტრადიცია ▪ პროგრამაზე ჩარიცხულთა გარანტირებული დაფინანსება სახელმწიფოს მხრივ <p>სუსტი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ თანამედროვე ტექნიკური საშუალებების სიმცირე ▪ ქართულენოვანი ლიტერატურის სიმცირე ▪ დაბალი მოტივაცია სტუდენტთა ნაწილში <p>შესაძლებლობები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პერსონალის გაძლიერება დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა მეშვეობით ▪ ქართულენოვანი სახელმძღვანელოების შექმნა ▪ ელექტრონული სასწავლო რესურსების განვითარება ▪ ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმების მეშვეობით პროგრამის სრულყოფა ▪ სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის შესაძლებლობების გაზრდა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან ურთიერთთანამშრომლობის გაძლიერება. <p>საფრთხეები, რისკები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პერსონალის განახლების შეზღუდული შესაძლებლობები ▪ პროგრამისადმი აბიტურიენტთა ინტერესის შესუსტება გარანტირებული სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტის შემთხვევაში 	

სამაგისტრო პროგრამა – მათემატიკა; არჩევითი მოდულები: ფუნქციათა თეორია; დიფერენციალური განტოლებები.	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მათემატიკის მაგისტრი 0501
მიმართულება/დარგი	05 მეცნიერება/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, 0501 მათემატიკა

აკრედიტაციის თარიღი:	აკრედიტ. გადაწყვეტილება: №69; 6.04.2012
პროგრამის ხელ-ლი:	პროფ. გიორგი ონიანი
<p>შეფასება და განვითარების პერსპექტივები:</p> <p>ძლიერი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პერსონალის მაღალი კვლევითი პოტენციალი, კვალიფიკაცია და გამოცდილება ▪ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი ▪ პროგრამის მდიდარი ტრადიცია ▪ საგრანტო დაფინანსების სისტემის არსებობა <p>სუსტი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პროგრამაზე შემომსვლელთა რაოდენობის შეზღუდულობა ▪ თანამედროვე ტექნიკური საშუალებების სიმცირე ▪ ქართულენოვანი ლიტერატურის სიმცირე; <p>შესაძლებლობები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პერსონალის გაძლიერება დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა მეშვეობით; ▪ ქართულენოვანი სახელმძღვანელოების შექმნა; ▪ ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმების მეშვეობით პროგრამის სრულყოფა; <p>საფრთხეები, რისკები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პერსონალის განახლების შეზღუდული შესაძლებლობები 	

სადოქტორო პროგრამა – ფუნქციონირება თეორია	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მათემატიკის დოქტორი 0501
მიმართულება/დარგი	05 მეცნიერება/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, მათემატიკა
აკრედიტაციის თარიღი:	აკრედიტ. გადაწყვეტილება: №70; 6.04.2012
პროგრამის ხელ-ლი:	პროფ. გიორგი ონიანი
<p>შეფასება და განვითარების პერსპექტივები:</p> <p>ძლიერი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პერსონალის მაღალი კვლევითი პოტენციალი და კვალიფიკაცია ▪ მოთხოვნა ახალგაზრდა კვალიფიციურებულ პერსონალზე აწსუ-ს მათემატიკის დეპარტამენტში ▪ პროგრამის წარმატებით განხორციელების გამოცდილება ბოლო ათი წლის განმავლობაში <p>სუსტი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პროგრამაზე მაღალი დონის საბაზისო ცოდნის მქონე შემომსვლელთა რაოდენობის სიმცირე ▪ მყარი საგრანტო დაფინანსების სისტემის არარსებობა სახელმწიფოს მხრიდან <p>შესაძლებლობები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პერსონალის გაძლიერება მაღალი კვალიფიკაციის მკვლევარების მოწვევის გზით ▪ პერსონალის გაძლიერება დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა მეშვეობით ▪ მონაწილეობა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის და სხვა ფონდების კონკურსებში დოქტორანტურის დაფინანსების და ხელშეწყობის თვალსაზრისით <p>საფრთხეები, რისკები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პერსონალის განახლების შეზღუდული შესაძლებლობები ▪ სახელმწიფოსა და საკუთრივ აწსუ-ს მხრივ სამეცნიერო კვლევების დაფინანსების სისტემის არამდგრადობა 	

სადოქტორო პროგრამა – დიფერენციალური განტოლებები	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	მათემატიკის დოქტორი 0501
მიმართულება/დარგი	05 მეცნიერება/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, მათემატიკა
აკრედიტაციის თარიღი:	აკრედიტ. გადაწყვეტილება: №71; 6.04.2012
პროგრამის ხელ-ლი:	პროფ. თეიმურაზ სურგულაძე; პროფ. ზაზა სოხაძე
<p>შეფასება და განვითარების პერსპექტივები:</p> <p>ძლიერი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია და გამოცდილება ▪ სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული საგნები, რომელთა საფუძვლიანად ათვისება შექმნის ამ დარგში თანამედროვე მიღწევების გააზრებულად გაცნობის ბაზისს ▪ სადოქტორო პროგრამის კვლევის თემატიკა, რომლითაც გათვალისწინებულია როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით აქტუალური თემების კვლევა <p>სუსტი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ თანამედროვე ტექნიკური საშუალებების სიმცირე ▪ ქართულენოვანი ლიტერატურის სიმცირე ▪ დაბალი მოტივაცია მაგისტრანტთა დიდ ნაწილში, რომლის გამოც ამ პროგრამას დღემდე დოქტორანტი არ ჰყავდა, მიმდინარე წელს ჩაირიცხა 1 დოქტორანტი. <p>შესაძლებლობები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალის გაძლიერება საქართველოს და საზღვარგარეთის უნივერსიტეტების მეცნიერთა მოწვევით ▪ ქართულენოვანი სახელმძღვანელოების შექმნა ▪ ელექტრონული სასწავლო რესურსების განვითარება <p>საფრთხეები, რისკები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პერსონალის განახლების შეზღუდული შესაძლებლობები ▪ სადოქტორო პროგრამისადმი მაგისტრანტთა ინტერესის შესუსტება სწავლის საფასურის საკმაოდ დიდი რაოდენობის და დასაქმების პერსპექტივის სიმწირის გამო 	

ფიზიკის დეპარტამენტი

საბაკალავრო პროგრამა: ფიზიკა	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი ფიზიკაში 0502
მიმართულება/დარგი	05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; 0502 ფიზიკა
აკრედიტაციის თარიღი:	აკრედიტ. გადაწყვეტილება: №67; 23.09.2011
პროგრამის ხელ-ლი:	ასოც. პროფ. დემურ თედორაძე; ასოც. პროფ. გოგისა ტომარაძე
შეფასება და განვითარების პერსპექტივები:	

ძლიერი მხარეები:

- სპეციალობა არსებობს უნივერსიტეტის დაარსების დღიდან, გააჩნია ძლიერი ტრადიციები და გამოცდილება
- სახელმწიფო დაფინანსება
- კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა
- სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა: სტუდენტთა მოსწრების ანალიზის, სტუდენტთა გამოკითხვების, ინტერვიუების, კურსდამთავრებულთა მოსაზრებების გათვალისწინება სასწავლო პროცესის დაგეგმვაში
- პროგრამის განვითარების გეგმის არსებობა და მისი წარმატებული ეტაპობრივი შესრულება
- პროგრამის სტრუქტურა: ძირითადი სპეციალობა (180 კრედიტი) + დამატებითი სპეციალობა (60 კრედიტი)
- სტუდენტების ჩართულობა პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში
- პერსონალის საერთაშორისო გამოცდილება და მზარდი ინტერნაციონალიზაცია

სუსტი მხარეები:

- ქართულ ენაზე უახლესი თანამედროვე ლიტერატურის მწირი რაოდენობა.
- თანამედროვე სასწავლო ლაბორატორიების არარსებობა

შესაძლებლობები:

- სწავლებისა და სამეცნიერო მუშაობის მზარდი ინტერნაციონალიზაცია
- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის შესაძლებლობის გაზრდა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან ურთიერთანამშრომლობის გაძლიერება
- ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება
- საბაკალავრო სწავლებაში გამოყენებული მეცნიერების თანამედროვე დონის შესაბამისი ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნა და არსებული ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა
- ელექტრონული სასწავლო რესურსების განვითარება
- ადგილობრივ სამედიცინო დაწესებულებებთან თანამშრომლობა

საფრთხეები, რისკები:

- პროგრამისადმი აბიტურიენტთა და სტუდენტთა ინტერესის შემცირება;
- ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ფიზიკის სწავლების დაბალი დონე.

სამაგისტრო პროგრამა – თეორიული ფიზიკა;	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი ფიზიკაში 0502
მიმართულება/დარგი	05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; 0502 ფიზიკა 050201; თეორიული ფიზიკა
აკრედიტაციის თარიღი:	აკრედიტ. გადაწყვეტილება: №68; 6.04.2012
პროგრამის ხელ-ლი:	პროფ. დავით ნიშნიანიძე
შეფასება და განვითარების პერსპექტივები:	
ძლიერი მხარეები:	
<ul style="list-style-type: none"> ▪ პერსონალის მაღალი კვლევითი პოტენციალი, კვალიფიკაცია და გამოცდილება ▪ კურსდამთავრებულთა დასაქმების მაღალი მაჩვენებელი ▪ საგრანტო დაფინანსების სისტემის არსებობა 	
სუსტი მხარეები:	

<ul style="list-style-type: none"> ▪ პროგრამაზე შემომსვლელთა რაოდენობის შეზღუდულობა ▪ თანამედროვე ტექნიკური საშუალებების სიმცირე ▪ ქართულენოვანი ლიტერატურის სიმცირე; <p>შესაძლებლობები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პერსონალის გაძლიერება დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა მეშვეობით; ▪ ქართულენოვანი სახელმძღვანელოების შექმნა; ▪ ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მექანიზმების მეშვეობით პროგრამის სრულყოფა; <p>საფრთხეები, რისკები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პერსონალის განახლების შეზღუდული შესაძლებლობები

სადოქტორო პროგრამა – ფიზიკა (გეოფიზიკა)	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა დოქტორი ფიზიკაში 0502
მიმართულება/დარგი	საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი / ფიზიკა / გეოფიზიკა
აკრედიტაციის თარიღი:	აკრედიტ. გადაწყვეტილება: №74; 6.04.2012
პროგრამის ხელ-ლი:	პროფ. თეიმურაზ ადეიშვილი
<p>შეფასება და განვითარების პერსპექტივები:</p> <p>ძლიერი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პერსონალის მაღალი კვლევითი პოტენციალი და კვალიფიკაცია ▪ მოთხოვნა ახალგაზრდა კვალიფიცირებულ პერსონალზე აწსუ-ს ფიზიკის დეპარტამენტში ▪ პროგრამის წარმატებით განხორციელების გამოცდილება ბოლო ხუთი წლის განმავლობაში <p>სუსტი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პროგრამაზე მაღალი დონის საბაზისო ცოდნის მქონე შემომსვლელთა რაოდენობის სიმცირე ▪ მყარი საგრანტო დაფინანსების სისტემის არარსებობა სახელმწიფოს მხრივ <p>შესაძლებლობები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პერსონალის გაძლიერება მაღალი კვალიფიკაციის მკვლევარების მოწვევის გზით ▪ პერსონალის გაძლიერება დოქტორანტურის კურსდამთავრებულთა მეშვეობით ▪ მონაწილეობა შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის და სხვა ფონდების კონკურსებში <p>საფრთხეები, რისკები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ პერსონალის განახლების შეზღუდული შესაძლებლობები ▪ სახელმწიფოს მხრივ სამეცნიერო კვლევების დაფინანსების სისტემის არამდგრადობა 	

ინფორმაციული ტექნოლოგიის დეპარტამენტი

საბაკალავრო პროგრამა: კომპიუტერული მეცნიერებები	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინფორმატიკის ბაკალავრი 0401
მიმართულება/დარგი	04 ინჟინერია; 0401 კომპიუტინგი/ინფორმატიკა
აკრედიტაციის თარიღი:	აკრედიტ. გადაწყვეტილება: №49; 23.09.2011

პროგრამის ხელ-ლი:	პროფ. აკაკი გირგვლიანი
-------------------	------------------------

შეფასება და განვითარების პერსპექტივები:

ძლიერი მხარეები:

- უნივერსიტეტის მისიის, მიზნების და ამოცანების განხორციელების კარგი სარესურსო პოტენციალი, როგორც მატერიალური, ასევე ადამიანური;
- უნივერსიტეტის მზაობა სისტემური რეფორმების განსახორციელებლად;
- უნივერსიტეტის მაღალი რეიტინგი საქართველოში, რაზეც მეტყველებს აბიტურიენტთა მხრიდან უნივერსიტეტის მითითების მაღალი მაჩვენებელი ;
- საგანმანათლებლო ბაზა;
- პროგრამა შესაბამისობაშია ACM (კომპიუტერული მეცნიერებების ასოციაციის) მუშა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან;
- პროგრამა ვითარდება პერმანენტულად.
- მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი;
- სწავლაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება;
- გამართული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები;
- საგანმანათლებლო პროგრამების ორიენტირებულობა შედეგზე;
- პერსონალის მიერ უნივერსიტეტის მიზნების მხარდაჭერა;
- თანამედროვე და ელექტრონული ბიბლიოთეკა;
- აკადემიური პერსონალის რეფორმისადმი მზაობა;
- ინფრასტრუქტურის განახლება და გაუმჯობესება.

სუსტი მხარეები:

- ქართულ ენაზე მაღალხარისხოვანი დარგობრივი უახლესი ლიტერატურის მწირი რაოდენობა;
- გასაძლიერებელია სამუშაო ქართულ ენაზე სალექციო და პრაქტიკული კურსის ელექტრონული ვერსიების შესაქმნელად;
- გაძნელებული ურთიერთანამშრომლობა და ინტერესის ნაკლებობა ზოგიერთი ორგანიზაციის, დამსაქმებლისა და საწარმოს მხრიდან;

შესაძლებლობები:

- შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კადრების მომზადება;
- შიდა და გარე კავშირების გაძლიერება სამეცნიერო და კვლევითი პროცესის თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმების გაფორმება;
- სწავლების ახალი ინოვაციური მეთოდების დანერგვა;
- მჭიდრო კავშირების დამყარება პოტენციურ დამსაქმებლებთან. მათი ჩართვა სასწავლო პროგრამების შედგენის პროცესში, ერთობლივი პროექტების ხელშეწყობა;
- სწავლების ხარისხის ამაღლება კონტროლის მექანიზმების გამოყენებით;
- შიდა და გარე შეფასების გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად;
- სხვადასხვა კონკურსებში, პროექტებში მონაწილეობის მიღება;
- უწყვეტი სწავლების სისტემის დანერგვა;
- სადოქტორო პროგრამის შექმნა.

საფრთხეები, რისკები:

- მუდმივად ცვალებადი ეკონომიკური გარემოს არაპროგნოზირებადი პროცესების გავლენა მაღალ პროფესიული კადრების მომზადების რაოდენობასა და ხარისხზე;
- მაღალი კონკურენცია სხვა აღიარებული უნივერსიტეტების მხრიდან;
- უფასო სპეციალობების არსებობის გამო გაზრდილია აბიტურიენტების კლების რისკი;
- მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, რაც ასახულია სტუდენტთა დაბალ გადახდისუნარიანობაზე;

სამაგისტრო პროგრამა – ელექტრონული ბიზნესი	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინტერდისციპლინური ინფორმატიკის მაგისტრი 040106
მიმართულება/დარგი	04 ინჟინერია; 0401 კომპიუტინგი/ინფორმატიკა; 040106 ინტერდისციპლინური ინფორმატიკა.
აკრედიტაციის თარიღი:	აკრედიტ. გადაწყვეტილება: №135; 08.10.2013
პროგრამის ხელ-ლი:	პროფ. დავით ზაუტაშვილი
<p>შეფასება და განვითარების პერსპექტივები:</p> <p>ძლიერი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ უნივერსიტეტის მისიის, მიზნების და ამოცანების განხორციელების კარგი სარესურსო პოტენციალი, როგორც მატერიალური ასევე ადამიანური; ▪ უნივერსიტეტის მზაობა სისტემური რეფორმების განსახორციელებლად; ▪ უნივერსიტეტის მაღალი რეიტინგი საქართველოში, რაზეც მეტყველებს აბიტურიენტთა მხრიდან უნივერსიტეტის მითითების მაღალი მაჩვენებელი ; ▪ საგანმანათლებლო ბაზა; ▪ ელექტრონული ბიზნესის სამაგისტრო პროგრამა ერთ-ერთი ყველაზე მაღალმოთხოვნადია მსოფლიო ბაზარზე; ▪ სწავლაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება; ▪ ელექტრონული ბიზნესის სამაგისტრო პროგრამის ინტერდისციპლინური ხასიათი; ▪ საგანმანათლებლო პროგრამების ორიენტირებულობა შედეგზე; ▪ პერსონალის მიერ უნივერსიტეტის მიზნების მხარდაჭერა; ▪ თანამედროვე და ელექტრონული ბიბლიოთეკა; ▪ აკადემიური პერსონალის რეფორმისადმი მზაობა; ▪ ინფრასტრუქტურის განახლება და გაუმჯობესება. <p>სუსტი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ქართულ ენაზე მაღალხარისხოვანი დარგობრივი უახლესი ლიტერატურის მწირი რაოდენობა; ▪ გასაძლიერებელია სამუშაო ქართულ ენაზე სალექციო და პრაქტიკული კურსის ელექტრონული ვერსიების შესაქმნელად; ▪ გამწვანებული ურთიერთანამშრომლობა და ინტერესის ნაკლებობა ზოგიერთი ორგანიზაციის, დამსაქმებლისა და საწარმოს მხრიდან; ▪ არ არსებობს ურთიერთთანამშრომლობა საზღვარგარეთის ანალოგიური პროგრამის განმხორციელებელ უნივერსიტეტებთან <p>შესაძლებლობები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კადრების მომზადება; 	

- შიდა და გარე კავშირების გაძლიერება სამეცნიერო და კვლევითი პროცესის თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმების გაფორმება;
 - სწავლების ახალი ინოვაციური მეთოდების დანერგვა;
 - მჭიდრო კავშირების დამყარება პოტენციურ დამსაქმებლებთან. მათი ჩართვა სასწავლო პროგრამების შედგენის პროცესში, ერთობლივი პროექტების ხელშეწყობა;
 - სწავლების ხარისხის ამაღლება კონტროლის მექანიზმების გამოყენებით;
 - შიდა და გარე შეფასების გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად;
 - რუსთაველის სამეცნიერო ფონდის მაგისტრანტთა ნაშრომების კონკურსში მონაწილეობის მიღება;
 - აწსუ-ის კომპიუტერული ტექნოლოგიების დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული საერთაშორისო სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციაში „ინტერნეტი და საზოგადოება“ მონაწილეობის მიღება;
- საფრთხეები, რისკები:**
- მუდმივად ცვალებადი ეკონომიკური გარემოს არაპროგნოზირებადი პროცესების გავლენა მაღალ პროფესიული კადრების მომზადების რაოდენობასა და ხარისხზე;
 - საქართველოში ელექტრონული ბიზნესის განვითარების დაბალი დონე;
 - მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, რაც ასახულია სტუდენტთა დაბალ გადახდის უნარიანობაზე;

სამაგისტრო პროგრამა – ინფორმაციული სისტემები	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინფორმაციული სისტემების მაგისტრი 040102
მიმართულება/დარგი	04 ინჟინერია; 0401 კომპიუტინგი/ინფორმატიკა; 040102 ინფორმაციული სისტემები
აკრედიტაციის თარიღი:	აკრედიტ. გადაწყვეტილება: №251; 26.07.2012
პროგრამის ხელ-ლი:	ასოც. პროფ. ნოდარ ჭანტურია
<p>შეფასება და განვითარების პერსპექტივები:</p> <p>ძლიერი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ უნივერსიტეტის კარგი სარესურსო პოტენციალი, როგორც მატერიალური ასევე ადამიანური; ▪ საგანმანათლებლო ბაზა; ▪ პროგრამა შესაბამისობაშია ACM (კომპიუტერული მეცნიერებების ასოციაციის) მუშა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან; ▪ მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი; ▪ სწავლაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება; ▪ გამართული სამაგისტრო პროგრამა; ▪ საგანმანათლებლო პროგრამების ორიენტირებულობა შედეგზე; ▪ თანამედროვე და ელექტრონული ბიბლიოთეკა; ▪ აკადემიური პერსონალის რეფორმისადმი მზაობა; ▪ ინფრასტრუქტურის განახლება და გაუმჯობესება. <p>სუსტი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ ქართულ ენაზე დარგობრივი უახლესი ლიტერატურის მწირი რაოდენობა; ▪ მაგისტრანტების ლექციებსა და ლაბორატორიულებზე ცუდი დასწრება <p>შესაძლებლობები:</p>	

- შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების მომზადება;
 - გასაძლიერებელია სამუშაო ქართულ ენაზე სალექციო და პრაქტიკული კურსის ელექტრონული ვერსიების შესაქმნელად;
 - სწავლების ახალი ინოვაციური მეთოდების დანერგვა;
 - მჭიდრო კავშირების დამყარება პოტენციურ დამსაქმებლებთან. მათი ჩართვა სასწავლო პროგრამების შედგენის პროცესში, ერთობლივი პროექტების ხელშეწყობა;
 - სწავლების ხარისხის ამაღლება კონტროლის მექანიზმების გამოყენებით;
 - შიდა და გარე შეფასების გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად;
 - სხვადასხვა კონკურსებში, პროექტებში მონაწილეობის მიღება;
- საფრთხეები, რისკები:**
- აკადემიური ჯგუფის დაუკომპლექტობა;
 - მაღალი კონკურენცია სხვა უნივერსიტეტების მხრიდან;
 - მოსახლეობის დაბალი გადახდის უნარიანობა;

სამაგისტრო პროგრამა – კომპიუტერული მეცნიერება;	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	კომპიუტერული მეცნიერების მაგისტრი 040104
მიმართულება/დარგი	04 ინჟინერია; 0401 კომპიუტინგი/ინფორმატიკა; 040104 კომპიუტერული მეცნიერება.
აკრედიტაციის თარიღი:	აკრედიტ. გადაწყვეტილება: №250; 26.07.2012
პროგრამის ხელ-ლი:	პროფ. აკაკი გირგვლიანი
შეფასება და განვითარების პერსპექტივები:	
ძლიერი მხარეები:	
<ul style="list-style-type: none"> ▪ უნივერსიტეტის მისიის, მიზნების და ამოცანების განხორციელების კარგი სარესურსო პოტენციალი, როგორც მატერიალური ასევე ადამიანური; ▪ უნივერსიტეტის მზაობა სისტემური რეფორმების განსახორციელებლად; ▪ უნივერსიტეტის მაღალი რეიტინგი საქართველოში, რაზეც მეტყველებს აბიტურიენტთა მხრიდან უნივერსიტეტის მითითების მაღალი მაჩვენებელი ; ▪ საგანმანათლებლო ბაზა; ▪ პროგრამა შესაბამისობაშია ACM (კომპიუტერული მეცნიერებების ასოციაციის) მუშა ჯგუფის მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებთან; ▪ პროგრამა ვითარდება პერმანენტულად. ▪ მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი; ▪ სწავლაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება; ▪ გამართული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები; ▪ საგანმანათლებლო პროგრამების ორიენტირებულობა შედეგზე; ▪ პერსონალის მიერ უნივერსიტეტის მიზნების მხარდაჭერა; ▪ თანამედროვე და ელექტრონული ბიბლიოთეკა; ▪ აკადემიური პერსონალის რეფორმისადმი მზაობა; ▪ ინფრასტრუქტურის განახლება და გაუმჯობესება. 	
სუსტი მხარეები:	
<ul style="list-style-type: none"> ▪ ქართულ ენაზე მაღალხარისხოვანი დარგობრივი უახლესი ლიტერატურის მწირი რაოდენობა; ▪ გასაძლიერებელია სამუშაო ქართულ ენაზე სალექციო და პრაქტიკული კურსის ელექტრონული ვერსიების შესაქმნელად; 	

▪ გამწვანებული ურთიერთანამშრომლობა და ინტერესის ნაკლებობა ზოგიერთი ორგანიზაციის, დამსაქმებლისა და საწარმოს მხრიდან;

შესაძლებლობები:

- შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კადრების მომზადება;
- შიდა და გარე კავშირების გაძლიერება სამეცნიერო და კვლევითი პროცესის თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმების გაფორმება;
- სწავლების ახალი ინოვაციური მეთოდების დანერგვა;
- მჭიდრო კავშირების დამყარება პოტენციურ დამსაქმებლებთან. მათი ჩართვა სასწავლო პროგრამების შედგენის პროცესში, ერთობლივი პროექტების ხელშეწყობა;
- სწავლების ხარისხის ამაღლება კონტროლის მექანიზმების გამოყენებით;
- შიდა და გარე შეფასების გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად;
- სხვადასხვა კონკურსებში, პროექტებში მონაწილეობის მიღება;
- უწყვეტი სწავლების სისტემის დანერგვა;
- სადოქტორო პროგრამის შექმნა.

საფრთხეები, რისკები:

- მუდმივად ცვალებადი ეკონომიკური გარემოს არაპროგნოზირებადი პროცესების გავლენა მაღალ პროფესიული კადრების მომზადების რაოდენობასა და ხარისხზე;
- მაღალი კონკურენცია სხვა აღიარებული უნივერსიტეტების მხრიდან;
- მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, რაც ასახულია სტუდენტთა დაბალ გადახდის უნარიანობაზე;

გეოგრაფიის დეპარტამენტი

საბაკალავრო პროგრამა: გეოგრაფია	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი 0505 / საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი გეოგრაფიაში 0505
მიმართულება/დარგი	05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; 0505 გეოგრაფია
აკრედიტაციის თარიღი:	აკრედიტ. გადაწყვეტილება: №40; 23.09.2011
პროგრამის ხელ-ლი:	ასოც. პროფ. დალი მიქაუტაძე
<p>შეფასება და განვითარების პერსპექტივები:</p> <p>ძლიერი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> • სპეციალობა არსებობს უნივერსიტეტის დაარსების დღიდან, გააჩნია ძლიერი ტრადიციები და გამოცდილება, უზრუნველყოფილია კვალიფიციური კადრებითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. • სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა. პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (სწავლების შემდეგ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე. 	

- ქვეყნის შრომითი ბაზრის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე წინა პლანზეა წამოწეული საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა როლი, რამეთუ ენერგეტიკის, სასოფლო-სამეურნეო, ტურისტულ-რეკრეაციული, ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესების მონიტორინგის და ა.შ. დარგებში საქმიანობა გარკვეულ წილად მოითხოვს - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების, მათ შორის გეოგრაფიის ძირითადი ელემენტების მყარ ცოდნას.

სუსტი მხარეები:

- უახლესი თანამედროვე ლიტერატურის მწირი რაოდენობა.
- სასწავლო-საველე პრაქტიკის აღჭურვილობის არასაკმარისი რაოდენობა.

შესაძლებლობები:

- დეპარტამენტი ახერხებს კადრების მუდმივ გაახალგაზრდავებას და კვალიფიკაციის პერმანენტურ ამაღლებას, რის გამოც თანამშრომლობს ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიისა და ჰიდრომეტეოროლოგიური კვლევის ინსტიტუტთან; ასევე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ტურისტულ ორგანიზაციებთან.
- უცხოენოვანი თანამედროვე დარგობრივი ლიტერატურის შეძენა და თარგმნა.
- ელექტრონული სასწავლო რესურსების შექმნა.
- ადგილობრივ დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობა.
- სასწავლო-საველე პრაქტიკის აღჭურვილობის შეძენა.

საფრთხეები, რისკები:

- არათანაბარი კონკურენტუნარიანი გარემო, კერძოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ყველა პროგრამა, გარდა გეოგრაფიისა, ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

სამაგისტრო პროგრამა – რეგიონალური გეოგრაფია და რეკრეაციული რესურსები	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი გეოგრაფიაში - 0505
მიმართულება/დარგი	05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; 0505 გეოგრაფია; რეგიონალური გეოგრაფია და რეკრეაციული რესურსები
აკრედიტაციის თარიღი:	აკრედიტ. გადაწყვეტილება: №65; 6.04.2012
პროგრამის ხელ-ლი:	ასოც. პროფ. დალი მიქაუტაძე
შეფასება და განვითარების პერსპექტივები:	
ძლიერი მხარეები:	
<ul style="list-style-type: none"> • სპეციალობას გააჩნია ძლიერი ტრადიციები და გამოცდილება, უზრუნველყოფილია კვალიფიციური კადრებითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. • სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა. პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო (სწავლების შემდეგ საფეხურზე) და დასაქმების ბაზარზე. • ქვეყნის შრომითი ბაზრის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე წინა პლანზეა წამოწეული საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა როლი, რამეთუ ენერგეტიკის, სასოფლო-სამეურნეო, 	

ტურისტულ-რეკრეაციული, ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესების მონიტორინგის და ა.შ. დარგებში საქმიანობა გარკვეულ წილად მოითხოვს - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების, მათ შორის გეოგრაფიის ძირითადი ელემენტების მყარ ცოდნას.

სუსტი მხარეები:

- უახლესი თანამედროვე ლიტერატურის მწირი რაოდენობა.
- გეოინფორმაციული სისტემების სასწავლო კურსისათვის კომპიუტერების არასაკმარისი რაოდენობა

შესაძლებლობები:

- დეპარტამენტი ახერხებს კადრების მუდმივ გაახალგაზრდავებას და კვალიფიკაციის პერმანენტურ ამაღლებას, რის გამოც თანამშრომლობს ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიისა და ჰიდრომეტეოროლოგიური კვლევის ინსტიტუტთან; ასევე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ტურისტულ ორგანიზაციებთან.
- უცხოენოვანი თანამედროვე დარგობრივი ლიტერატურის შექმნა და თარგმნა.
- ელექტრონული სასწავლო რესურსების შექმნა.
- ადგილობრივ დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობა.

საფრთხეები, რისკები:

არათანაბარი კონკურენტუნარიანი გარემო, კერძოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ყველა საბაკალავრო პროგრამა, გარდა გეოგრაფიისა, ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

სადოქტორო პროგრამა – გეოგრაფია	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	გეოგრაფიის დოქტორი 0505
მიმართულება/დარგი	05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; 0505 გეოგრაფია
აკრედიტაციის თარიღი:	აკრედიტ. გადაწყვეტილება: №75; 19.04.2012
პროგრამის ხელ-ლი:	პროფ. ოთარ ჩხეიძე
შეფასება და განვითარების პერსპექტივები:	
ძლიერი მხარეები:	
<ul style="list-style-type: none"> ▪ სპეციალობას გააჩნია ძლიერი ტრადიციები და გამოცდილება, უზრუნველყოფილია კვალიფიციური კადრებითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. ▪ ქვეყნის შრომითი ბაზრის მოთხოვნილებებიდან გამომდინარე წინა პლანზეა წამოწეული საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა როლი, რამეთუ ენერგეტიკის, სასოფლო-სამეურნეო, ტურისტულ-რეკრეაციული, ჰიდრომეტეოროლოგიური პროცესების მონიტორინგის და ა.შ. დარგებში საქმიანობა გარკვეულ წილად მოითხოვს - დედამიწის შემსწავლელი მეცნიერებების, მათ შორის გეოგრაფიის ძირითადი ელემენტების მყარ ცოდნას. 	
სუსტი მხარეები:	
<ul style="list-style-type: none"> ▪ უახლესი თანამედროვე ლიტერატურის მწირი რაოდენობა. 	
შესაძლებლობები:	
<ul style="list-style-type: none"> ▪ დეპარტამენტი ახერხებს კადრების მუდმივ გაახალგაზრდავებას და კვალიფიკაციის პერმანენტურ ამაღლებას, რის გამოც თანამშრომლობს ივ. ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიისა და ჰიდრომეტეოროლოგიური კვლევის ინსტიტუტთან; ასევე საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსა და ტურისტულ ორგანიზაციებთან. ▪ უცხოენოვანი თანამედროვე დარგობრივი ლიტერატურის შექმნა და თარგმნა. 	

- ელექტრონული სასწავლო რესურსების შექმნა.
 - ადგილობრივ დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობა.
- საფრთხეები, რისკები:**
- არათანაბარი კონკურენტუნარიანი გარემო, კერძოდ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ყველა საბაკალავრო პროგრამა, გარდა გეოგრაფიისა, ფინანსდება სახელმწიფოს მიერ.

ქიმიის დეპარტამენტი

საბაკალავრო პროგრამა: ქიმია	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი ქიმიაში 0503
მიმართულება/დარგი	05 მეცნიერება/ საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი. 0503 ქიმია
აკრედიტაციის თარიღი:	აკრედიტ. გადაწყვეტილება: №32; 16.09.2011
პროგრამის ხელ-ლი:	ასოც. პროფ. ნინო კახიძე

- შეფასება და განვითარების პერსპექტივები:**
- ძლიერი მხარეები:**
- 2004-2016 წლებში დასავლეთ საქართველოში ერთადერთი აკრედიტებული საბაკალავრო პროგრამა, მისანიჭებელი კვალიფიკაციით: ქიმიის ბაკალავრი.
 - პროგრამის განხორციელების 82 წლიანი ისტორია
 - სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა: სტუდენტთა მოსწრების ანალიზის, სტუდენტთა გამოკითხვების, ინტერვიუების, კურსდამთავრებულთა მოსაზრებების გათვალისწინება სასწავლო პროცესის დაგეგმვაში.
 - პროგრამის განვითარების გეგმის არსებობა და მისი წარმატებული ეტაპობრივი შესრულება.
 - შესაბამისი კვალიფიკაციის ადამიანური რესურსი, რომელიც შედის ე.წ. „კურიკულუმის კომიტეტის“ შემადგენლობაში და პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად მუშაობს პროგრამის განხორციელების საკითხებზე.
 - ჩატარდა სასწავლო ლაბორატორიების სარემონტო სამუშაოები, განახლდა ლაბორატორიული/მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (შემენილ იქნა ლაბორატორიული მოწყობილობები და აპარატურა), მუდმივად ხდება ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარებისათვის აუცილებელი რეაქტივების, მასალების და ნედლეულის შექმნა და მარაგების განახლება
 - პროგრამის გაუმჯობესებული სტრუქტურა: ძირითადი სპეციალობა (180 კრედიტი) + დამატებითი სპეციალობა (60 კრედიტი) (2016 წლიდან).
 - სტუდენტების მაღალი ჩართულობა პრაქტიკული უნარების განმავითარებელ კომპონენტებსა და კურიკულუმისაგან დამოუკიდებელი ინიციატივების განხორციელებაში.
- სუსტი მხარეები:**
- შესაძლებლობები:**
- სწავლებისა და სამეცნიერო მუშაობის მზარდი ინტერნაციონალიზაცია

- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის შესაძლებლობის გაზრდა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან ურთიერთანამშრომლობის გაძლიერება ელექტრონული სასწავლო რესურსების განვითარება;
- ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება.
- საბაკალავრო სწავლებაში გამოყენებული მეცნიერების თანამედროვე დონის შესაბამისი ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნა და არსებული ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა.
- ელექტრონული სასწავლო რესურსების განვითარება
- სტუდენტთა შეფასების სისტემის უფრო მეტად დახვეწა და შეფასების თითოეული კომპონენტზე უფრო მეტად ორიენტირება.
- ადგილობრივ წარმოებებთან თანამშრომლობა.
- ელექტრონული სასწავლო რესურსების განვითარება
- პოტენციურ დამსაქმებელთა აქტიური ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და სასწავლო პროცესში, კურსდამთავრებულთა შრომითმოწყობაში.
- უცხოელი მეცნიერების მოწვევა სასწავლო პროცესში მონაწილეობის მიზნით.

საფრთხეები, რისკები:

- არათანაბარი კონკურენტული გარემო (სხვა პროგრამების შერჩევა სახელმწიფო დაფინანსებისათვის და „უფასო“ ადგილების რაოდენობის გაზრდა).
- პროგრამისადმი აბიტურიენტთა და სტუდენტთა ინტერესის შემცირება.
- ფორსმაჟორული სიტუაციები.
- ეკონომიკური კრიზისი და ინფლაცია
- სპეციალისტთა მაღალი კონკურენცია დასაქმების ბაზარზე
- მაღალი კონკურენცია საგანმანათლებლო ბაზარზე

სამაგისტრო პროგრამა – ქიმია; მოდულები: ქიმიური ექსპერტიზა, არაორგანული ქიმია, ორგანული ქიმია.	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი 0503 / საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი ქიმიაში
მიმართულება/დარგი/ქვედარგი	05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; 0503 ქიმია 050301 არაორგანული ქიმია, 050302 ორგანული ქიმია, 050305 ქიმიური ექსპერტიზა
აკრედიტაციის თარიღი:	აკრედიტ. გადაწყვეტილება: №65; 6.04.2012
პროგრამის ხელ-ლი:	ასოც. პროფესორები: ნინო კახიძე, მადონა სამხარაძე, ნატალია კუპატაშვილი.
<p>შეფასება და განვითარების პერსპექტივები:</p> <p>ძლიერი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამის მუდმივი მოდერნიზაცია. • სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა: სტუდენტთა მოსწრების ანალიზის, სტუდენტთა გამოკითხვების, კურსდამთავრებულთა მოსაზრებების გათვალისწინება სასწავლო პროცესის დაგეგმვაში • ჩატარდა სასწავლო ლაბორატორიების სარემონტო სამუშაოები, განახლდა ლაბორატორიული/მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (შემენილ იქნა ლაბორატორიული მოწყობილობები და აპარატურა), მუდმივად ხდება ლაბორატორიული მეცადინეობების ჩატარებისათვის აუცილებელი რეაქტივების, მასალების და ნედლეულის შექმნა და მარაგების განახლება 	

- ბიბლიოთეკის წიგნადი (მათ შორის ელექტრონული) ფონდი, მისი მუდმივი შევსება ახალი სახელმძღვანელოებით და სასწავლო-მეთოდური მასალებით .
- მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი და მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები.
- საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნიკით, ინტერნეტით შეუფერხებელი უზრუნველყოფა.
- სტუდენტთა დახმარების სერვისის ჩამოყალიბება.

სუსტი მხარეები:

- მატერიალურ- ტექნიკური ბაზის სიმცირე.
- ქართულ ენაზე მაღალხარისხოვანი დარგობრივი ლიტერატურის მწირი რაოდენობა.
- დამსაქმებლებთა და საწარმოთა მხრიდან ნაკლები დაინტერესება და მცირე კონტაქტები.
- შეზღუდული ფინანსები.

შესაძლებლობები:

- ელექტრონული სასწავლო რესურსების განვითარება.
- სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის შესაძლებლობის გაზრდა და პარტნიორ უნივერსიტეტებთან ურთიერთანამშრომლობის გაძლიერება.
- ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება.
- სამაგისტრო სწავლებაში გამოყენებული მეცნიერების თანამედროვე დონის შესაბამისი ეროვნული სახელმძღვანელოების შექმნა და არსებული ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა.
- სტუდენტთა შეფასების სისტემის უფრო მეტად დახვეწა და შეფასების თითოეული კომპონენტზე უფრო მეტად ორიენტირება.

საფრთხეები, რისკები:

- დარგის სპეციალისტთა ნაკლები მოთხოვნა შრომით ბაზარზე.
- არათანაბარი კონკურენტული გარემო (სპეციალობისადმი ნაკლები ინტერესი სხვა უფრო მოთხოვნად სპეციალობებთან შედარებით).

ბიოლოგიის დეპარტამენტი

საბაკალავრო პროგრამა: ბიოლოგია	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი ბიოლოგიაში 0504
მიმართულება/დარგი	05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი; 0504 ბიოლოგია
აკრედიტაციის თარიღი:	აკრედიტ. გადაწყვეტილება: №39; 23.09.2011
პროგრამის ხელ-ლი:	ასოც. პროფ. შოთა ჯინჯოლია
<p>შეფასება და განვითარების პერსპექტივები:</p> <p>ძლიერი მხარეები:</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ არსებობს ხარისხის უზრუნველყოფის შესაძლებლობა. ▪ ფაკულტეტი და დეპარტამენტი არის უნივერსიტეტის მასშტაბით განათლების სფეროში ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირი. ▪ დეპარტამენტის აკადემიურ პერსონალს აქვს წლების მანძილზე დაგროვილი მნიშვნელოვანი გამოცდილება სასწავლო-სააღმზრდელო და სამეცნიერო საქმიანობაში. ▪ კარგი ტექნიკური-მატერიალური ბაზა. სასწავლო-ზოოლოგიური მუზეუმი და ჰერბარიუმი. 	

- დეპარტამენტი დაკომპლექტებულია და პროგრამებს ახორციელებს მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი.

სუსტი მხარეები:

- საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიის უქონლობა.
- დაინტერესებულ პირთა სუსტი სისტემური და მიზნობრივი ინფორმირება.
- ნაკლებად აქტიურია სტრატეგიულ დონორებთან ურთიერთობა.
- პროცესები საჭიროებს მართვას და ოპტიმიზაციას. სუსტია ანალიტიკური ფუნქცია და რისკების მართვის სისტემა.
- სუსტად არის განვითარებული დამამთავრებელ კურსების სტუდენტთა ინფორმირება დასაქმების ბაზრის შესახებ.
- სუსტია კურსდამთავრებულებთან ურთიერთობა.
- დარგობრივი სტანდარტების არ არსებობა.
- სუსტია სწავლების, სამეცნიერო მუშაობის და კურსდამთავრებულთა ინტერნაციონალიზაცია.
- არასაკმარისია დეპარტამენტის დაფინანსება.

შესაძლებლობები:

- ქვეყანაში განათლების საკითხი პრიორიტეტულია.
- საზოგადოების მხრიდან განათლებას აქვს მხარდაჭერა.
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციიდან, დეკანატის მხრიდან, დეპარტამენტს აქვს მხარდაჭერა.
- მობილობა.
- საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობა.
- დეპარტამენტის აკადემიური პერსონალის დამოკიდებულება განვითარების შესაძლებლობაზე.
- ინიციატივების შესაძლებლობა.
- საერთაშორისო პროექტებში ჩართვის შესაძლებლობები.

საფრთხეები, რისკები:

- სახელმწიფო პოლიტიკის ცვლილება.
- საკანონმდებლო აქტების ხშირი ცვლილება.
- ცვლილებები კონტიგენტში.
- ავტონომიურობის შეზღუდვა.
- არა ინსტიტუციური მიდგომები.
- მატერიალური უზრუნველყოფა.

საბაკალავრო პროგრამა: ეკოლოგია	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრი (ეკოლოგია) 0504 / ეკოლოგიის ბაკალავრი 1102
მიმართულება/დარგი	11 მიმართულებათაშორისი დარგები; 1102 ეკოლოგია /გარემოსმცოდნეობა
აკრედიტაციის თარიღი:	აკრედიტ. გადაწყვეტილება: №40; 23.09.2011
პროგრამის ხელ-ლი:	ასოც. პროფ. მაია გაბუნია
შეფასება და განვითარების პერსპექტივები:	

ძლიერი მხარეები:

- მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი;
- სწავლაში საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება;
- გამართული საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები;
- საგანმანათლებლო პროგრამების ორიენტირებულობა შედეგზე;
- პერსონალის მიერ უნივერსიტეტის მიზნების მხარდაჭერა;
- თანამედროვე და ელექტრონული ბიბლიოთეკა;
- აკადემიური პერსონალის რეფორმისადმი მზაობა;
- ინფრასტრუქტურის განახლება და გაუმჯობესება.

სუსტი მხარეები:

- ქართულ ენაზე მაღალხარისხოვანი დარგობრივი უახლესი ლიტერატურის მწირი რაოდენობა;
- გასაძლიერებელია სამუშაო ქართულ ენაზე სალექციო და პრაქტიკული კურსის ელექტრონული ვერსიების შესაქმნელად;
- გაძნელებული ურთიერთთანამშრომლობა და ინტერესის ნაკლებობა ზოგიერთი ორგანიზაციის, დამსაქმებლისა და საწარმოს მხრიდან;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობის შედარებით დაბალი ხარისხი დღევანდელ მოთხოვნებთან მიმართებაში.

შესაძლებლობები:

- შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი კადრების მომზადება;
- შიდა და გარე კავშირების გაძლიერება სამეცნიერო და კვლევითი პროცესის თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმების გაფორმება;
- სწავლების ახალი ინოვაციური მეთოდების დანერგვა;
- სწავლების პროცესში თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენება;
- მჭიდრო კავშირების დამყარება პოტენციურ დამსაქმებლებთან. მათი ჩართვა სასწავლო პროგრამების შედგენის პროცესში, ერთობლივი პროექტების ხელშეწყობა;
- სწავლების ხარისხის ამაღლება კონტროლის მექანიზმების გამოყენებით;
- შიდა და გარე შეფასების გამოყენება საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის გასაუმჯობესებლად;
- სხვადასხვა კონკურსებში, პროექტებში მონაწილეობის მიღება ;
- უწყვეტი სწავლების სისტემის დანერგვა;
- ახალი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების შექმნა.

საფრთხეები, რისკები:

- მუდმივად ცვალებადი ეკონომიკური გარემოს არაპროგნოზირებადი პროცესების გავლენა მაღალ პროფესიული კადრების მომზადების რაოდენობასა და ხარისხზე;
 - მაღალი კონკურენცია სხვა აღიარებული უნივერსიტეტების მხრიდან;
 - საქართველოში ეკოლოგიური განათლების მიღების ინტერესის კლების რისკი;
 - კურსდამთავრებულთა დასაქმების დაბალი დონე, უმეტესად არასპეციალობით;
 - კვალიფიციური პერსონალის დაკარგვის რისკი;
 - მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა, რაც ასახულია სტუდენტთა დაბალ გადახდისუნარიანობაზე;
- უნივერსიტეტის კურსდამთავრებულებზე მაღალი მოთხოვნების არარსებობა.

საბაკალავრო პროგრამა: **გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია)**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია	სიცოცხლის შემსწავლელ მეცნიერებათა ბაკალავრი (BSc) გამოყენებით ბიომეცნიერებებში (ბიოტექნოლოგია) 0504 / გამოყენებითი ბიომეცნიერებების ბაკალავრი (BSc in Applied Biosciences) 0504
მიმართულება/დარგი/ქვედარგი	05 მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი 0504 ბიოლოგია/სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებანი/გამოყენებითი ბიომეცნიერებები 050408 ბიოტექნოლოგიები
აკრედიტაციის თარიღი:	აკრედიტ. გადაწყვეტილება: №41; 23.09.2011
პროგრამის ხელ-ლი:	ასოც. პროფ. ქეთევან ჩიქვინიძე

შეფასება და განვითარების პერსპექტივები:

ძლიერი მხარეები:

- საბაკალავრო პროგრამა – გამოყენებითი ბიომეცნიერებები ქვეყნის ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელი ძალაა. ის ქმნის მაღალკვალიფიციურ კადრებს ბიოტექნოლოგიის სფეროში. პროგრამა მომავალ სტუდენტებს სთავაზობს სრულიად ახალ, დასაქმებაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსს, საუნივერსიტეტო დონის უმაღლეს პროფესიულ ცოდნას და უნარებს როგორც ბიოლოგიის ზოგად ფუნდამენტურ, ასევე ბიოტექნოლოგიებთან დაკავშირებულ სასწავლო დისციპლინებში. პროგრამა ითვალისწინებს საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო-მეთოდოლოგიის შემუშავება-დანერგვას;
- პროგრამა უზრუნველყოფს ქსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული სტანდარტების შესაბამისი კურსის ჩატარებას და ანიჭებს სტუდენტს საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნორმების შესაბამის ბაკალავრის ხარისხს;
- პროგრამა აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო-ლაბორატორიებით და კომპიუტერული კლასებით;
- პროგრამა სწავლების შინაარსითა და მეთოდოლოგიით ორიენტირებულია დასაქმების ბაზრის მოთხოვნაზე როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე. ბიოტექნოლოგიისადმი წაყენებული მზარდი მოთხოვნები განაპირობებს სრულფასოვანი სპეციალისტის მომზადების აუცილებლობას, რაც წარმოუდგენელია სასწავლო პროცესის ინდუსტრიასთან მჭიდრო კავშირის გარეშე.
- საწარმოო უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების შეძენის მიზნით, ბაკალავრიატში ხორციელდება პროფესიული პრაქტიკა – სტუდენტთა დროებითი დასაქმება, სათანადო პროფილის საწარმოებსა და სამსახურებში, ან კლინიკებსა და სადიაგნოსტიკო ცენტრებში. ეს კიდევ უფრო აახლოვებს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას წარმოებასთან და ამასთანავე, ხელს უწყობს გამოყენებით დარგებში სასწავლო პროგრამების დახვეწას ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.
- საქმიანი ურთიერთობების წარმოება სასწავლო პროგრამის შესაბამისი პროფილის სამინისტროებთან და უწყებებთან;

- პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის განხორციელების მიზნებს.
- პროგრამა უზრუნველყოფილია წიგნადი (მათ შორის, ელექტრონული წიგნები) ფონდით; ქართულ ენაზე ნათარგმნი სალექციო კურსების ელექტრონული ვერსიებით.
- პროგრამას გააჩნია განვითარების სტრატეგია, რომლის განხორციელების მონიტორინგი წარმოებს პერიოდულად, (სტუდენტების, ინდუსტრიის წარმომადგენლებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, ღია კარის დღეები).
- სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები ჩართულნი არიან პროგრამის დახვეწის პროცესში – მათთან მუდმივი კონსულტაციების გზით.
- სასწავლო პროგრამების სარეკლამო ბეჭდური (ფლაიერები, ბუკლეტები) და ელექტრონული მასალების გავრცელება

სუსტი მხარეები:

- გასაფართოებელია ლაბორატორია, გაძლიერებას საჭიროებს ლაბორატორიული აღჭურვილობა, შესაძენია ახალი რეაქტივები; პროგრამის განხორციელებისათვის შეზღუდულია დამხმარე პერსონალის (ლაბორანტების) რესურსები.
- სასურველია დამატებით რამდენიმე კომპიუტერული კლასის აღჭურვა სათანადო ტექნიკით.
- გასაძლიერებელია სამუშაო ქართულ ენაზე სალექციო და პრაქტიკული კურსის ელექტრონული ვერსიების შესაქმნელად და უახლესი ლიტერატურის სათარგმნად.
- უკანასკნელი ორი წლის მანძილზე შესუსტდა აკადემიური კავშირები უცხოეთის უნივერსიტეტებთან
- აკადემიური პერსონალი და სტუდენტები საჭიროებს სერიოზულ გადამზადებას უცხო ენებში.

შესაძლებლობები:

- პროგრამის განვითარებას ხელს უწყობს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებისათვის მზადება.
- საბაკალავრო პროგრამის - გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია) ფართო პროპაგანდა სკოლის მოსწავლეებს შორის – უნივერსიტეტში სასწავლებლად მოსაზიდად;
- პროგრამის განვითარებას ხელს შეუწყობს ინდუსტრიასთან – პოტენციურ დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა, მომავალი სპეციალისტებისთვის დასაქმების ბაზრის ძიება, პროგრამის სრულყოფაზე მუდმივი მუშაობა, ლაბორატორიის აღჭურვილობაზე ზრუნვა, პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მათ შორის საერთაშორისო სერტიფიცირებაზე (სწავლების მეთოდებისა და ტექნოლოგიების დახვეწის მიზნით) ზრუნვა.
- ინდუსტრიაში პროფესიული პრაქტიკის გავლა საშუალებას მისცემს სტუდენტს განვითარდეს თანამედროვე ბიოტექნოლოგიური მიმართულებების ფარგლებში; დაინახოს და შეაფასოს მომავალი ტექნოლოგიების და სამეცნიერო კვლევების მიმართულებების პრიორიტეტები; სახელმწიფო ორგანიზაციებში, კერძო საწარმოებში და სხვა ტიპის დაწესებულებებში მუშაობა სტუდენტებს განუვითარებს ბიოტექნოლოგიური მეცნიერებების სფეროში ორგანიზატორული, მეცნიერული და შემოქმედებითი მუშაობის უნარებს. დაეხმარება მას პრაქტიკული და კოგნიტური უნარ-ჩვევების განვითარების პროცესის რაციონალურად დაგეგმვაში. თავის მხრივ, მომავალ დამსაქმებლებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მათი პოტენციური კადრის აღზრდის პროცესში.

- შრომის ბაზრის მუდმივი ანალიზი.

საფრთხეები, რისკები:

- ეკონომიკური კრიზისი, ინფლაცია, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა; შრომის კოდექსის და სხვა რელევანტური კანონმდებლობის გავლენა;
- საბაკალავრო პროგრამის „ბიოლოგია“ სახელმწიფო დაფინანსებამ და „უფასო“ ადგილების რაოდენობის გაზრდამ სერიოზული რისკის ქვეშ დააყენა გამოყენებითი ბიომეცნიერებების სპეციალობა. აღნიშნულ სპეციალობაზე სწავლის დიდი სურვილის მიუხედავად, სტუდენტებმაც და მშობლებმაც - სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე, აირჩიეს საბაკალავრო პროგრამა „ბიოლოგია“.
- დასაფიქრებელია, რამდენად საკმარისი იქნება სტუდენტთა კონტიგენტი იმისათვის, რომ პროგრამამ შეძლოს თვითდაფინანსება;
- ასევე, დასაფიქრებელია, როგორი იქნება საბუნებისმეტყველო დისციპლინებში სტუდენტთა საბაზისო ცოდნის მაჩვენებლები.

სამაგისტრო პროგრამა – ბიოლოგია. მოდულები: ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგია; უჯრედული ბიოლოგია; ეკოლოგია	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრი ბიოლოგიაში 0504, ეკოლოგიის მაგისტრი 1102
მიმართულება/დარგი/ქვედარგი	05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი 11 მიმართულებათა შორისი დარგები ან სპეციალობები; ბიოლოგია. ეკოლოგია. ადამიანის და ცხოველთა ფიზიოლოგია 050404. უჯრედული ბიოლოგია 050414. გამოყენებითი ეკოლოგია 110201.
აკრედიტაციის თარიღი:	აკრედიტ. გადაწყვეტილება: №66; 6.04.2012
პროგრამის ხელ-ლი:	პროფ. რენიკო საკანდელიძე, ასოც. პროფ. ნ. ლაჭავა, ასოც. პროფ. ნანა კილაძე,
შეფასება და განვითარების პერსპექტივები:	
ძლიერი მხარეები:	
<ul style="list-style-type: none"> ▪ პროგრამაში ბიოლოგიის სხვადასხვა მიმართულების მოდულების სახით გაერთიანება ▪ პროგრამის სტრუქტურა, რომელშიც კრედიტები კარგადაა გადანაწილებული ყველა მოდულისთვის საერთო სავალდებულო, თითოეული მოდულისთვის სავალდებულო და არჩევით კურსებზე ▪ პროგრამაში დაკავებული აკადემიური პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია და გამოცდილება ▪ მატერიალურ – ტექნიკური ბაზა გენეტიკის, მიკრობიოლოგიის, ჰისტოლოგიისა და ფიზიოლოგიის ლაბორატორიების სახით ▪ პროგრამის განხორციელება მაქსიმალურადაა ხელშეწყობილი სათანადო კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული პერსონალით ▪ უნივერსიტეტის ვებ გვერდზე განთავსებული პროგრამის კურიკულუმი, რომელიც ხელმისაწვდომია პროგრამაში სწავლის სურვილის მქონე დაინტერესებული პირებისთვის ▪ პროგრამაში სწავლის ფინანსური უზრუნველყოფა, აპლიკანტის მიერ ერთიანი სამაგისტრო გამოცდის მაღალი მაჩვენებლით ჩაბარების შემთხვევაში 	
სუსტი მხარეები:	

- ნაწილობრივ მოძველებული ინფრასტრუქტურა (აუდიტორიები და ლაბორატორია)
- სწავლის და სწავლების მეთოდები, რომელთა გამოყენებით ნაკლებად მიიღწევა ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოთი განსაზღვრული კომპეტენციები
- ნაკლებად შესწავლილი დასაქმების ბაზარი, ინდუსტრიასთან კავშირის არ არსებობის გამო
- ქართულ ენაზე სამეცნიერო ლიტერატურის სიმცირე
- დეპარტამენტში პროგრამის განხორციელებაში ჩართული დამხმარე პერსონალის შეზღუდული რაოდენობა

შესაძლებლობები:

- მოდულებში არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობის მომატება
- სასწავლო კურსებისთვის შესაბამისი სახელმძღვანელოების შექმნა და არსებული ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა
- ინდუსტრიასთან კავშირი და დასაქმების ბაზრის მოძიება და შესწავლა. პარტნიორების დაინტერესება
- სტუდენტებისა და პროგრამაში დასაქმებული აკადემიური პერსონალის მობილობა კვალიფიკაციის ამაღლების და პარტნიორ უნივერსიტეტებთან გამოცდილების გაზიარების მიზნით
- ლექციის, პრაქტიკული მუშაობებისა და სემინარების ჩატარებისთვის კომპიუტერული ტექნიკით და საპრეზენტაციო მოწყობილობებით აღჭურვილი აუდიტორიები, სადაც სტუდენტი შეძლებს დავალების შესრულებას და თავისი შრომის, სწავლის შედეგების დემონსტრირებას
- ლაბორატორია დამხმარე პერსონალით, რომელიც სტუდენტებს შეასწავლის ლაბორატორიულ საქმეს და გარკვეულ წილს შეიტანს, აკადემიურ პერსონალთან ერთად, მათში პრაქტიკული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში.

საფრთხეები, რისკები:

სასწავლო პროცესის ჩავარდნა (ლექციების, პრაქტიკული მეცადინეობებისა და ლაბორატორიული მუშაობების ინტენსიური გაცდენა სტუდენტების და აკადემიური პერსონალის მხრიდან), რაც ამცირებს პროგრამის რეიტინგს და მისი განვითარების შესაძლებლობებს

პროგრამისადმი ინტერესის შემცირება

სახელმწიფო პოლიტიკის შეცვლა (სხვა პროგრამების შერჩევა სახელმწიფო დაფინანსებისათვის)

სამაგისტრო პროგრამა – გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია)	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	გამოყენებითი ბიომეცნიერებების (ბიოტექნოლოგიის) მაგისტრი 050408
მიმართულება/დარგი	05 მეცნიერება/საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი 0504 ბიოლოგია/სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები/გამოყენებითი ბიომეცნიერებები 050408 ბიოტექნოლოგიები
აკრედიტაციის თარიღი:	აკრედიტ. გადაწყვეტილება: №67; 6.04.2012
პროგრამის ხელ-ლი:	ასოც. პროფ. ნინო მარგველაშვილი
შეფასება და განვითარების პერსპექტივები:	
ძლიერი მხარეები:	
<ul style="list-style-type: none"> ▪ სამაგისტრო პროგრამა – ამზადებს მაღალკვალიფიციურ კადრებს ბიოტექნოლოგიის სფეროში. პროგრამა მომავალ სტუდენტებს სთავაზობს სრულიად ახალ, დასაქმებაზე ორიენტირებულ სასწავლო კურსს, საუნივერსიტეტო დონის უმაღლეს პროფესიულ ცოდნას და უნარებს როგორც ბიოლოგიის ზოგად ფუნდამენტურ, ასევე ბიოტექნოლოგიებთან დაკავშირებულ სასწავლო დისციპლინებში. პროგრამა ითვალისწინებს საინფორმაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო-მეთოდოლოგიის შემუშავება-დანერგვას; 	

- მოიცავს სამ ქვეპროგრამას: ჯანდაცვის ბიოტექნოლოგია, გარემოს დაცვის ბიოტექნოლოგია, კვების ბიოტექნოლოგია. პროგრამის სტრუქტურა და ძირითადი შინაარსი საერთოა პარტნიორი უნივერსიტეტებისათვის, რაც წარმოადგენს მობილობის გამარტივების წინაპირობას.
- პროგრამა უზრუნველყოფს ქსუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებული სტანდარტების შესაბამისი კურსის ჩატარებას და ანიჭებს სტუდენტს საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დამტკიცებული ნორმების შესაბამის ხარისხს
- პროგრამა აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო-ლაბორატორიებით და კომპიუტერული კლასებით;
- პროგრამა სწავლების შინაარსითა და მეთოდოლოგიით ორიენტირებულია დასაქმების ბაზრის მოთხოვნაზე როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე. ბიოტექნოლოგიისადმი წაყენებული მზარდი მოთხოვნები განაპირობებს სრულფასოვანი სპეციალისტის მომზადების აუცილებლობას, რაც წარმოუდგენელია სასწავლო პროცესის ინდუსტრიასთან მჭიდრო კავშირის გარეშე.
- საწარმოო უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების შეძენის მიზნით, მაგისტრატურაში ხორციელდება პროფესიული პრაქტიკა – სტუდენტთა დროებითი დასაქმება, სათანადო პროფილის საწარმოებსა და სამსახურებში, ან კლინიკებსა და სადიაგნოსტიკო ცენტრებში. ეს კიდეც უფრო აახლოვებს უმაღლეს სასწავლო დაწესებულებას წარმოებასთან და ამასთანავე, ხელს უწყობს გამოყენებით დარგებში სასწავლო პროგრამების დახვეწას ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში.
- საქმიანი ურთიერთობების წარმოება სასწავლო პროგრამის შესაბამისი პროფილის სამინისტროებთან და უწყებებთან;
- პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომლის კვალიფიკაცია შეესაბამება პროგრამის განხორციელების მიზნებს.
- პროგრამა უზრუნველყოფილია წიგნადი (მათ შორის, ელექტრონული წიგნები) ფონდით; ქართულ ენაზე ნათარგმნი სალექციო კურსების ელექტრონული ვერსიებით.
- პროგრამას გააჩნია განვითარების სტრატეგია, რომლის განხორციელების მონიტორინგი წარმოებს პერიოდულად, (სტუდენტების, ინდუსტრიის წარმომადგენლებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვა, ღია კარის დღეები).
- სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები ჩართულნი არიან პროგრამის დახვეწის პროცესში – მათთან მუდმივი კონსულტაციების გზით.
- სასწავლო პროგრამების სარეკლამო ბეჭდური (ფლაიერები, ბუკლეტები) და ელექტრონული მასალების გავრცელება

სუსტი მხარეები:

- გასაფართოებელია ლაბორატორია, გაძლიერებას საჭიროებს ლაბორატორიული აღჭურვილობა, შესაძენია ახალი რეაქტივები; პროგრამის განხორციელებისათვის შეზღუდულია დამხმარე პერსონალის (ლაბორანტების) რესურსები.
- შესუსტდა აკადემიური კავშირები უცხოეთის უნივერსიტეტებთან
- აკადემიური პერსონალი და სტუდენტები საჭიროებს სერიოზულ გადამზადებას უცხო ენებში.

შესაძლებლობები:

- პროგრამის განვითარებას ხელს უწყობს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებისათვის მზადება.
- სამაგისტრო პროგრამის - გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია) ფართო პროპაგანდა ბაკალავრიატის სტუდენტებს შორის – მაგისტრატურაში სასწავლებლად მოსაზიდად;

- პროგრამის განვითარებას ხელს შეუწყობს ინდუსტრიასთან – პოტენციურ დამსაქმებლებთან მჭიდრო თანამშრომლობა, მომავალი სპეციალისტებისთვის დასაქმების ბაზრის ძიება, პროგრამის სრულყოფაზე მუდმივი მუშაობა, ლაბორატორიის აღჭურვილობაზე ზრუნვა, პროფესორ-მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მათ შორის საერთაშორისო სერტიფიცირებაზე (სწავლების მეთოდებისა და ტექნოლოგიების დახვეწის მიზნით) ზრუნვა.
- ინდუსტრიაში პროფესიული პრაქტიკის გავლა საშუალებას მისცემს სტუდენტს განვითარდეს თანამედროვე ბიოტექნოლოგიური მიმართულებების ფარგლებში; დაინახოს და შეაფასოს მომავალი ტექნოლოგიების და სამეცნიერო კვლევების მიმართულებების პრიორიტეტები; სახელმწიფო ორგანიზაციებში, კერძო საწარმოებში და სხვა ტიპის დაწესებულებებში მუშაობა სტუდენტებს განუვითარებს ბიოტექნოლოგიური მეცნიერებების სფეროში ორგანიზატორული, მეცნიერული და შემოქმედებითი მუშაობის უნარებს. დაეხმარება მას პრაქტიკული და კოგნიტური უნარ-ჩვევების განვითარების პროცესის რაციონალურად დაგეგმვაში. თავის მხრივ, მომავალ დამსაქმებლებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ მათი პოტენციური კადრის აღზრდის პროცესში.
- შრომის ბაზრის მუდმივი ანალიზი.

საფრთხეები, რისკები:

ეკონომიკური კრიზისი, ინფლაცია, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა; შრომის კოდექსის და სხვა რელევანტური კანონმდებლობის გავლენა;

სადოქტორო პროგრამა – ნეიროფიზიოლოგია	
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიოლოგიის დოქტორი 0504
მიმართულება/დარგი/ქვედარგი	05 საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი 0504 ბიოლოგია/სიცოცხლის შემსწავლელი მეცნიერებები; 050409 ნეირომეცნიერებები
აკრედიტაციის თარიღი:	აკრედიტ. გადაწყვეტილება: №72; 06.04.2012
პროგრამის ხელ-ლი:	პროფ. თ. ნანეიშვილი, პროფ. რ. საკანდელიძე
შეფასება და განვითარების პერსპექტივები:	
ძლიერი მხარეები:	
<ul style="list-style-type: none"> პერსონალის მაღალი კვლევითი პოტენციალი და კვალიფიკაცია სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტით გათვალისწინებული საგნები, რომელთა საფუძვლიანად ათვისება შექმნის ამ დარგში თანამედროვე მიღწევების გააზრებულად გაცნობის ბაზისს 	
სუსტი მხარეები:	
<ul style="list-style-type: none"> თანამედროვე ტექნიკური საშუალებების სიმცირე დაფინანსების სისტემის არარსებობა სახელმწიფოს მხრივ 	
შესაძლებლობები:	
<ul style="list-style-type: none"> პერსონალის გაძლიერება მაღალი კვალიფიკაციის მკვლევარების მოწვევის გზით ქართულენოვანი სახელმძღვანელოების შექმნა ელექტრონული სასწავლო რესურსების განვითარება 	
საფრთხეები, რისკები:	
სახელმწიფოს მხრივ სამეცნიერო კვლევების დაფინანსების სისტემის არამდგრადობა	

დამატებითი (მაინორ) პროგრამები:	
1. მათემატიკა	კვალიფიკაციის გარეშე

2. ფიზიკა	კვალიფიკაციის გარეშე
3. კომპიუტერული მეცნიერებები	კვალიფიკაციის გარეშე
4. გეოგრაფია	კვალიფიკაციის გარეშე
5. ქიმია	კვალიფიკაციის გარეშე
6. ბიოლოგია	კვალიფიკაციის გარეშე
7. ეკოლოგია	კვალიფიკაციის გარეშე
8. გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია)	კვალიფიკაციის გარეშე
შეფასება და განვითარების პერსპექტივები: მაინორ პროგრამებმა აკრედიტაცია 2011 წელს მიიღეს. აღნიშნული პროგრამები შედგენილია ახალი მიდგომებით, პრაქტიკულ უნარებზე ორიენტირებულობით.	

ფაკულტეტზე განხორციელებადი მოდულური პროფესიული პროგრამა	
სისტემების ადმინისტრატორი	შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია
შეფასება და განვითარების პერსპექტივები: <ul style="list-style-type: none"> ▪ აწსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და უწყვეტი განათლების ცენტრის ორგანიზებით პერმანენტულად იმართება სხვადასხვა სახის ტრენინგები და შეხვედრები. უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხარდაჭერით შეიქმნა ელექტრონული პორტალი პროფესიული პროგრამებისათვის. პროფესიული პროგრამების საქმის წარმოება ძირითადად ხორციელდება ელექტრონულად. უნივერსიტეტში გაწერილია დანერგვის შიდა მონიტორინგის გეგმა, მოდულების განხორციელების გრაფიკი თარიღებისა და პასუხისმგებელი პირების მითითებით; შექმნილია შიდა მარეგულირებელი აქტები მოდულების დანერგვისათვის განსაზღვრულია პროგრამის დანერგვის პროცესის შიდა მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პირები. პერმანენტულად მიმდინარეობს შიდა მხარდაჭერის ჯგუფის სამუშაო შეხვედრები (მეთოდოლოგიური კონსულტაციები, მოდულების განხორციელების პროცესში წამოჭრილი პრობლემების განხილვა და სხვ.) მიღებული გადაწყვეტილებები და პროცესის განხორციელების გზები, განიხილება უნივერსიტეტის რექტორთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსთან; პროგრამა უზრუნველყოფილია საჭირო სახარჯი მასალებით სტუდენტების რაოდენობის/ნორმატივების გათვალისწინებით, შემუშავებულია სასწავლო პროცესის სახარჯი მასალებით უწყვეტად უზრუნველყოფის მექანიზმი, უზრუნველყოფილია დახარჯული მასალების აღრიცხვიანობა; ხორციელდება რეგულარული დაკვირვება პროგრამის/პროგრამების განხორციელებაზე მონიტორინგის გეგმის შესაბამისად, სადაც გაწერილია ვადებიც და პასუხისმგებელი პირები; ▪ პროგრამები აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური ბაზითა და ინვენტარით. პროგრამების განხორციელება და ხარისხის უზრუნველყოფა პრიორიტეტულია. ხელშემწყობი ფაქტორები <ul style="list-style-type: none"> ▪ პროგრამა უზრუნველყოფილია ადამიანური (ადმინისტრაციული, აკადემიური) და მატერიალური რესურსებით. უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი ინფორმირებულია მოდულური პროგრამების დანერგვის მიზნებისა და პროცედურების შესახებ. უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შექმნილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფი, ჯგუფის კოორდინატორი, გაწერილია შიდა მხარდაჭერის ჯგუფის გეგმა და მოდულებზე შიდა მხარდაჭერის ჯგუფის მუშაობის გრაფიკი. დამტკიცებულია დასწრების კითხვარის ფორმა, კალენდარული გეგმის ფორმა, შეფასების ინსტრუმენტების განსაზღვრულია პროგრამის დანერგვის პროცესის შიდა მხარდაჭერაზე 	

პასუხისმგებელი პირები. გეგმის შესაბამისად დაწესებულებაში ხორციელდება რეგულარული მონიტორინგი.

- უნივერსიტეტში ხორციელდება მოდულების განმახორციელებელ პირებთან/პროფესიულ მასწავლებლებთან ეფექტური კომუნიკაცია, კონსულტაციები, შემდგომი ღონისძიებების გატარების მიზნით (შემდეგი მოდულების განხორციელებისათვის მზადება, რაც გამოიხატება კალენდარული გეგმების, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებაში).

ხელშემშლელი ფაქტორები

- სწავლების პროცესის საწყის ეტაპზე ირღვეოდა დროის მენეჯმენტი და ნაკლები იყო სტუდენტთა აქტიურობა. მოდულის ეფექტურად განხორციელებაში ერთ-ერთ პრობლემად რჩება სტუდენტების დასწრება. განმახორციელებელ პერსონალს საწყის ეტაპზე გაურთულდა კალენდარული გეგმებისა და შეფასების კრიტერიუმების დამადასტურებელი მტკიცებულებების შემუშავება. გაჭიანურდა პროფესიული პროგრამების ელექტრონულ პორტალზე ინფორმაციების ატვირთვის პროცესი; გარკვეულ პრობლემები გამოვლინდა შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისას, ასევე რევიზიას და ცვლილებას საჭიროებს სასწავლო გეგმაში მოდულებზე კრედიტების გადანაწილება, აღნიშნული პრობლემების შესახებ აქტიური კონსულტაციების შემდეგ პროცესმა დაიწყო გამოსწორება;

5. მატერიალური რესურსები

1. უნივერსიტეტის სასწავლო აუდიტორიები;
2. უნივერსიტეტის სამეცნიერო-ტექნიკური ბიბლიოთეკის მუდმივად განახლებადი წიგნადი ფონდი;
3. მათემატიკის, ფიზიკის, ინფორმაციული ტექნოლოგიების, გეოგრაფიის, ქიმიის, ბიოლოგიის დეპარტამენტებთან არსებული კაბინეტ-ლაბორატორიები და აუდიტორიები.
4. თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრები.

6. განვითარების მიზნები

ხედვა: 2024 წლისათვის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი წარმოადგენს აწსუ-ს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულს, რომელიც წარმატებულად ახორციელებს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით და შემოქმედებით საქმიანობას, რომელსაც წვლილი შეაქვს მეცნიერულ, სოციალურ, ეკონომიკურ, კულტურულ და ა.შ. განვითარებაში რეგიონულ, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე; ორიენტირებულია საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებაზე, მიზანმიმართულად იღწვის დასახული სტრატეგიული გეგმის შესრულებისათვის და მდგრადი განვითარებისათვის.

1. საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება

ამოცანები:

- 1.1. აკადემიური პროგრამების მოდერნიზება საგანმანათლებლო სივრცისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად;
- 1.2. ინტერდისციპლინარული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა აწსუ-ს ფაკულტეტებთან თანამშრომლობით;
- 1.3. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა პარტნიორი უნივერსიტეტების (საქართველოს და უცხოური) თანამონაწილეობით.
- 1.4. საგნობრივი და მოდულური პროფესიული პროგრამების განხორციელების ძლიერი სეგმენტი;
- 1.5. ტრენინგ-კურსების ამოქმედება და განხორციელება მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სტრატეგიისათვის;
- 1.6. ინოვაციური სასწავლო მასალების შექმნა, რომლებიც სრულყოფს სასწავლო პროგრამებს უმაღლესი აკადემიური განათლების სხვადასხვა საფეხურებზე;
- 1.7. კვლევის ინტეგრირება საბაკალავრო და სამაგისტრო განათლებაში;

ამოცანები:

- 1.1. აკადემიური პროგრამების მოდერნიზება საგანმანათლებლო სივრცისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად;

საბაკალავრო პროგრამა:	
არსებული პროგრამები:	ახლო პერსპექტივა:
1. მათემატიკა - 240 ECTS	იგეგმება ფიზიკის, ქიმიის, ბიოლოგიის და ეკოლოგიის პროგრამების სრული
2. ფიზიკა - 240 ECTS	

3. კომპიუტერული მეცნიერებები - 240 ECTS	მოდერნიზაცია, მათემატიკის პროგრამის მოდიფიცირება
4. გეოგრაფია - 240 ECTS	
5. ქიმია - 240 ECTS	
6. ბიოლოგია - 240 ECTS	
7. ეკოლოგია - 240 ECTS	
8. გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია - 240 ECTS)	
სამაგისტრო პროგრამა	
არსებული პროგრამები:	ახლო პერსპექტივა:
1. მათემატიკა - 120 ECTS	სამაგისტრო პროგრამის – ბიოლოგია მოდულეზში: „უჯრედული ბიოლოგია“ და „ეკოლოგია“ იგეგმება ძირეული ცვლილებები იგეგმება სამაგისტრო პროგრამების – „ქიმია“, „თეორიული ფიზიკა“ – სრული მოდიფიცირება.
2. თეორიული ფიზიკა - 120 ECTS	
3. კომპიუტერული მეცნიერებები - 120 ECTS	
4. ინფორმაციული სისტემები - 120 ECTS	
5. ელექტრონული ბიზნესი - 120 ECTS	
6. რეგიონალური გეოგრაფია და რეკრეაციული რესურსები - 120 ECTS	
7. ქიმია - 120 ECTS	
8. ბიოლოგია - 120 ECTS	
9. გამოყენებითი ბიომეცნიერებები (ბიოტექნოლოგია) - 120 ECTS	
სადოქტორო პროგრამა	
არსებული პროგრამები:	ახლო პერსპექტივა:
ფუნქციათა თეორია	მიმდინარეობს მუშაობა სადოქტორო პროგრამაზე: თეორიული ფიზიკა; მომზადების პროცესშია სადოქტორო პროგრამა – მათემატიკა, სადაც იგეგმება მოდულეზის სახით ფუნქციათა თეორიის, დიფერენციალური განტოლებების და ალგებრა-გეომეტრიის გაერთიანება.
დიფერენციალური განტოლებები	
ფიზიკა	
გეოგრაფია	
ნეირომეცნიერებები	

ამრიგად, განხილული მდგომარეობიდან გამომდინარე, აკადემიური პერსონალის პოტენციალისა და არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გათვალისწინებით, ამ უკანასკნელის დანართი 5-ის შესაბამისად გადახალისების პირობით, ფაკულტეტი კვლავაც გააგრძელებს საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას ზემოთ ჩამოთვლილ ყველა მიმართულებაზე, გარდა მათემატიკის ორი სადოქტორო პროგრამისა, რომელიც მომავალში წარმოდგენილი უნდა იქნეს გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამის სახით, ხოლო გეოფიზიკის სადოქტორო პროგრამის ნაცვლად უნდა შეიქმნას სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა თეორიულ ფიზიკაში. აგრეთვე სასურველია შემუშავდეს ახალი სადოქტორო პროგრამები ქიმიაში და კომპიუტერულ მეცნიერებებში.

2. ხარისხის უზრუნველყოფის მდგრადი მექანიზმების დანერგვა

ამოცანები:

- 2.1. პერსონალის (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე) საქმიანობის შეფასების მექანიზმები;
- 2.2. სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგის მექანიზმი და მისი გამოყენება სასწავლო პროცესის გასაუმჯობესებლად;
- 2.3. საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების და გაუმჯობესების მექანიზმები
- 2.4. წავლა/სწავლების თანამედროვე მეთოდების გამოყენების ხელშეწყობა.

7. ინტერნაციონალიზაციის პერსპექტივები

- 1.1. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნა პარტნიორი უნივერსიტეტების (საქართველოს და უცხოური) თანამონაწილეობით.
- 1.2. აკადემიური პერსონალის უცხო ენის კომპეტენციის ამაღლება;
- 1.3. საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისა და ვორქ-შოპების ჩატარება აწსუ-ში;
- 1.4. უცხოელი პროფესორის მოწვევა.
- 1.5. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გაცვლითი პროგრამების და მობილობის ხელშეწყობა. გასაძლიერებელია მუშაობა ERASMUS + პროგრამის ფარგლებში credit mobility -ის მხრივ, რაც გაზრდის ახალგაზრდა მკვლევართა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობას.
- 1.6. აკადემიური პერსონალის პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდა უცხოურ და რეფერირებად ჟურნალებში;
- 1.7. აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კვლევებში ჩართულობის მაჩვენებლის გაუმჯობესება;

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის კვლევითი პროფილი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრატეგიული განვითარების ერთ-ერთი მიზანია ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი პროფილის განვითარება, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შემდგომი გაღრმავება, კვლევითი პროექტების შემუშავება წინასწარ შეთანხმებული მიმართულებით, მიღწეული შედეგების ინტერნაციონალიზაცია. კვლევითი ბაზებისა და მიმზიდველი საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა.

ფაკულტეტი ორიენტირებულია ზუსტ და საბუნებისმეტყველო დარგებში მეცნიერული კვლევების განვითარებაზე, კვლევაზე დაფუძნებული საგანმანათლებლო საქმიანობისა და კულტურის განვითარებაზე.

ქვემოთ მოცემულია ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე წარმოებული სამეცნიერო კვლევების არსებული მდგომარეობა, სამომავლო პერსპექტივები და გაუმჯობესების გზები.

1. მოკლე სიტუაციური აღწერა

წარმოდგენილ კვლევით პროფილში შეფასებულია ფაკულტეტზე ამ მიმართულებით არსებული მდგომარეობა, დასახულია სამომავლო პერსპექტივები და გაუმჯობესების გზები.

ფაკულტეტზე 2006 წლიდან სულ განხორციელებულია 39-მდე სამეცნიერო კვლევითი პროექტი.

მათ შორის:

- 7 - საერთაშორისო კვლევითი პროექტი;
- 21 – ეროვნული ფონდების მიერ დაფინანსებული პროექტი;
- 11 – შიდა საუნივერსიტეტო საგრანტო პროექტი.

მიმდინარე პროექტების რაოდენობა – 3.

მათ შორის:

- 2 - საერთაშორისო კვლევითი პროექტი;
- 1 – ეროვნული ფონდების მიერ დაფინანსებული პროექტი.

(წლების მიხედვით წარდგენილი პროექტების დინამიკა იხ. დანართში 1).

ფაკულტეტის თანამშრომლების მიერ სამეცნიერო ფონდებში საკონკურსოდ წარდგენილი პროექტების დიდი უმრავლესობა (75-80 %) მაღალ შეფასებებს იმსახურებს.

2. სიტუაციური ანალიზი (SWOT)

აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პერსპექტიული განვითარების ანალიზი საშუალებას იძლევა, გამოიყოს ფაკულტეტის განვითარების ძლიერი და სუსტი მხარეები (ხელშემწყობი და ხელშემშლელი პირობები), შესაძლებლობები და საფრთხეები:

1. ძლიერი მხარეები / გარე მხარდამჭერი გარემოებები
<p>1.1. თანამშრომლობის კარგი წინაპირობები საუნივერსიტეტო მეცნიერებასა და სხვადასხვა პარტნიორ ინსტიტუტებს, მოქმედ წარმოებებს და რეგიონალურ ორგანიზაციებს შორის;</p> <p>1.2. მაღალი ინტელექტუალური პოტენციალი პროფესორ-მასწავლებელთა სახით.</p> <p>1.3. ფაკულტეტის თანამშრომლების მიერ სამეცნიერო ფონდებში საკონკურსოდ წარდგენილი პროექტების მაღალი შეფასებები;</p> <p>1.4. აწსუ-ს მასშტაბით გამარჯვებული პროექტების საერთო რაოდენობაში ფაკულტეტის პროექტების მაღალი წილი;</p> <p>1.5. ახალგაზრდა მკვლევარების (მათ შორის მაგისტრანტები, დოქტორანტები) ჩართულობა კვლევის პროცესში;</p> <p>1.6. კვლევების განხორციელებისათვის არსებული შესაბამისი მატერიალური ბაზა;</p> <p>1.7. სამეცნიერო კვლევების შედეგებისა და სასწავლო მეთოდოლოგიური მასალების პუბლიკაციის ჩამოყალიბებული სისტემა.</p> <p>1.8. ქართულ და უცხოურ საგანმანათლებლო სივრცეში ფაკულტეტის დადებითი იმიჯი.</p>
2. სუსტი მხარეები / გამოწვევები
<p>2.1. საერთაშორისო მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნების, შრომების ციტირების ინდექსის დაბალი მაჩვენებელი;</p> <p>2.2. სამეცნიერო და ინოვაციური საქმიანობისათვის სახსრების მოზიდვის დაბალი დონე. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის არასაკმარისი ინოვაციური და საინვესტიციო პოტენციალი. აკადემიური პერსონალის საერთაშორისო კვლევებში ჩართულობის, მობილობისა და ინტერნაციონალიზაციის დაბალი მაჩვენებელი;</p> <p>2.3. სამეცნიერო-კვლევითი მუშაობისათვის არასაკმარისი დაფინანსება;</p> <p>2.4. უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) მცოდნე აკადემიური პერსონალის ნაკლებობა;</p> <p>2.5. საერთაშორისო თანამშრომლობის ნაკლებეფექტურობა; სამეცნიერო კვლევებში და სასწავლო პროცესში უცხოელი მეცნიერების ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი;</p> <p>2.6. კვალიფიკაციის ამაღლების მოკრძალებული შესაძლებლობები;</p> <p>2.7. ნაწილობრივ მოძველებული ინფრასტრუქტურა.</p>
3. შესაძლებლობები
<p>სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ორიენტირება შემდეგი კრიტერიუმების გაუმჯობესებით:</p> <p>3.1. კვლევითი გარემო (research environment) - სათანადო ინფრასტრუქტურა (ლაბორატორიები, აპარატურა, საველე სამუშაოს უზრუნველყოფა და ა.შ.);</p> <p>3.2. ცნობილი სამეცნიერო-საგანმანათლებლო ცენტრების ელექტრონული ბაზების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;</p> <p>3.3. <u>მეცნიერებისა და განათლების კავშირი</u>. სამეცნიერო კვლევების შედეგების დანერგვა სხვადასხვა ფორმით, სასწავლო პროგრამებსა და პროცესში. დოქტორანტების,</p>

მაგისტრანტებისა და ზოგადად სტუდენტების მონაწილეობა კვლევით საქმიანობაში, ახალგაზრდა კვლევითი კადრების მომზადების სისტემის არსებობა;

3.4. დოქტორანტების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების გაზრდა, დოქტორანტურის მუშაობის ეფექტურობის ამაღლება; სადისერტაციო საბჭოს მუშაობის სრულყოფა;

3.5. მეცნიერებაში ახალგაზრდა სპეციალისტების მოზიდვის მექანიზმების დახვეწა. ახალგაზრდა მეცნიერების წახალისების სისტემის დანერგვა. ზრუნვა დოქტორანტებისათვის, ახალგაზრდა მეცნიერთათვის საუნივერსიტეტო საგრანტო სისტემის შესაქმნელად;

3.6. კვლევაზე მოხიდული სახსრები (research income) – ადგილობრივი და/ან საერთაშორისო გრანტების თუ პირდაპირი დაკვეთების ფორმით, კონფერენციები და ა.შ.; ფაკულტეტის მიერ სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის ოპტიმიზება;

3.7. დარგთაშორისი კვლევები. მეცნიერების სწრაფი და მზარდი განვითარების პირობებში, სხვადასხვა დისციპლინის მიჯნაზე ახალი კვლევითი მიმართულებების შექმნა. სხვადასხვა დარგის წარმომადგენლების ერთმანეთთან აქტიური თანამშრომლობის ხელშეწყობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება;

3.8. ტრადიციის უწყვეტობა და თაობათა კავშირი. ფაკულტეტმა უნდა აღზარდოს მკვლევართა ახალი თაობები, რომლებიც ორიენტირებულნი იქნებიან ინოვაციური ცოდნის შეძენასა და სასწავლო პროცესში დანერგვაზე.

3.9. საკონსულტაციო და სასერტიფიკაციო მომსახურების განვითარება დეპარტამენტებთან არსებული ლაბორატორიების შესაძლებლობების გამოყენება-გაძლიერებით.

3.10. სამეცნიერო კვლევების კომერციალიზაცია. სამეცნიერო კვლევების შედეგების პრაქტიკაში დანერგვის გზებისა და საშუალებების ძიება, სამეცნიერო კვლევების ინოვაციური და საინვესტიციო პოტენციალის ამაღლებისა და მათი დაფინანსების ზრდის მიზნით.

3.11. კვლევის შედეგი (research output) – პუბლიკაციები იმპაქტ-ფაქტორის გამოცემებში (ციტაციის კოეფიციენტი), პატენტები, და ა.შ.;

4. საფრთხეები

4.1. მაღალკვალიფიციური კადრების გადინება.

4.2. გლობალური კრიზისის გამო დაფინანსების მოცულობის შემცირება.

4.3. საკადრო პოტენციალის სტიმულირების ეფექტური მექანიზმების არქონა.

4.4. სუსტი კავშირი შრომით ბაზართან

3. კვლევითი მიმართულებები და პროექტები

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე სამეცნიერო კვლევები შემდეგი მიმართულებებით ხორციელდება:

1. ფუნქციათა თეორია, დიფერენციალური განტოლებები და მათემატიკური ფიზიკა, ალგებრა, ტოპოლოგია, გეომეტრია, დისკრეტული ანალიზი, რიცხვითი ანალიზი, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, გამოყენებითი მათემატიკა.
2. სუპერსიმეტრიული კვანტური მექანიკა, ინტეგრებადი და სუპერინტეგრებადი სისტემები; მყარი სხეულების ფიზიკა; მიწისძვრების ფიზიკური და ქიმიური წინამორბედების შესწავლა; ჰიპერსფერული ფუნქციები კვანტურ მექანიკაში.
3. ქიმიური ექსპერტიზა; ორგანული ქიმია
4. ფიზიკური გეოგრაფია; საზოგადოებრივი გეოგრაფია
5. ნეირომეცნიერებები - უმაღლესი ნერვული მოქმედება; გამოყენებითი ბიომეცნიერებები
6. კომპიუტერული მეცნიერებები; ინფორმაციული ტექნოლოგიები; ელექტრონული ბიზნესი.

1. მიმართულება: ფუნქციათა თეორია, დიფერენციალური განტოლებები და მათემატიკური ფიზიკა, ალგებრა, ტოპოლოგია, გეომეტრია, დისკრეტული მათემატიკა, რიცხვითი ანალიზი, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, გამოყენებითი მათემატიკა.

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა ხორციელდება მათემატიკის დეპარტამენტის ბაზაზე, ამ მიმართულებით მუშაობს 4 პროფესორი, 19 ასოცირებული პროფესორი, 11 მოწვეული სპეციალისტი.

2012 წლიდან მოქმედებს შესაბამისი აკრედიტებული სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები:

- სამაგისტრო პროგრამა - მათემატიკა
- სადოქტორო პროგრამები:
- ფუნქციათა თეორია
 - დიფერენციალური განტოლებები

2010 წლიდან თანამონაწილეობით შესრულებულია: 9 პროექტი შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფინანსებით; 2 შიდა საუნივერსიტეტო გრანტი.

მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებულია შემდეგი შრომები:

1. G.G. Oniani, On the divergence of multiple Fourier-Haar series, *Analysis Math.* **38** (2012), No.2, 227-247.
2. L.D.Bantsuri and G.G. Oniani, On differential properties of functions of bounded variation *Analysis Math.* **38**(2012), No.1, 1-17.
3. G.G. Oniani, On the relationship between rectangular and spherical convergences of multiple Haar series. *Uspekhi Mat. Nauk*, **67** (2012), 1, 185-186 (in Russian), translation in *Russian Math. Surveys* **67**(2012), 1, 186-187.
4. G.G. Oniani, On the regular convergence by rectangles of multiple Fourier-Haar series, *Bull. Georgian Nat. Acad. Sci.*, **6** (2012), No. 2, 31-33.
5. G.G. Oniani, Note on Besicovitch's theorem on the possible values of upper and lower derivatives, *Mathematical Notes*, **93** (2013), No. 2, 282-287.
6. G.G. Oniani, On the convergence of multiple Haar series, *Izvestiya: mathematics*, **78:1** (2014), 90-105.
